პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
გამოცემის 29-ე წელი
ოთხშაბათი, 8 სექტემბერი, 1948 წ. № 179 (8223). ფასი 20 კაპ.

ეროვნული

დღეს გაზეთში:

კადრების მარქსიზმ-ლენინიზმით შეიარაღების უბადლო სახელმძღვანელო—მოწინავე (1-ლი გვერდი).
პატაკები ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი მოგილიოვის, დროგობიჩის, პოლტავისა და ოშის ოლქების მიერ პურის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
გ. ზამბახიძე — ვაშენოთ სწრაფად, კარგად და იაფად (მე-2 გვერდი).
მივცეთ სამშობლოს მილიონობით [illegible] [illegible]! (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-3 გვერდი).
ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოი (მე-3 და მე-4 გვერდი).
ქუთაისელთა მიმართვის პასუხად (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).)

კადრების მარქსიზმ-ლენინიზმით შეიარაღების უბადლო სახელმძღვანელო

ათი წლის წინათ, 1938 წლის 9 სექტემბერს გაზეთ „პრავდაში" დაიწყო ამხანაგ **სტალინის** გენიალური ნაშრომის — „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსის" ბეჭდვა. გაზეთ „პრავდის" მილიონობით მკითხველი — ჩვენი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული კადრები, მშრომელთა ფართო მასები მხურვალედ დაეწაფნენ „მოკლე კურსში" განვითარებული იდეების შესწავლას. შეიძლება ითქვას, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა არც ერთი სხვა ნაწარმოები არ გავრცელებულა მასებში ასე სწრაფად. ჯერ კიდევ ცალკე წიგნად გამოცემამდე „მოკლე კურსი" „პრავდის" გარდა დაიბეჭდა ათეულობით გაზეთში (მათ შორის გაზეთ „კომუნისტშიც"), საბჭოთა კავშირის ხალხთა მრავალ ენაზე (მათ შორის ქართულ ენაზეც). „მოკლე კურსი" თავიდანვე ჩვენი ქვეყნის მრავალმილიონიანი მასების კუთვნილება გახდა.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შექმნას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს არა მარტო ჩვენი პარტიისათვის, არა მარტო მთელი საბჭოთა ხალხისათვის, არამედ მთლიანად საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისათვის, ყველა ქვეყნის მუშათა კლასისათვის. ამ ნაშრომში განზოგადებულია მსოფლიოში ყველაზე გამოწრთობილი, ყველაზე მძლავრი, ყველაზე მოწინავე კომუნისტური პარტიის — საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) უმდიდრესი გამოცდილება. ამ ნაშრომში ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა გამოიყენო შემოქმედებითად და განავითარო მარქსისტულ-ლენინური თეორია, როგორ უნდა უხელმძღვანელო მუშათა რევოლუციურ მოძრაობას, როგორ უნდა დარაზმო ყველა პროგრესული ძალა მუშათა კლასის გარშემო, როგორ უნდა მოიპოვო ძალაუფლება და ააშენო ახალი, სოციალისტური საზოგადოება. „მოკლე კურსი" ავითარებს მარქსიზმ-ლენინიზმს, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ახალ ვითარებასთან შეფარდებით, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების ვითარებასთან შეფარდებით. „მოკლე კურსს" მარქსისტულ-ლენინური თეორია აჰყავს ახალ, უმაღლეს საფეხურზე. ამას აქვს და არ შეიძლება არ ჰქონდეს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა.

„მოკლე კურსი" გვასწავლის, რომ მჩაგვრელებისა და ექსპლოატატორების წინააღმდეგ ბრძოლაში, ძალაუფლების მოპოვებისა და სოციალიზმის აშენების საქმეში ყველა მშრომელის ხელმძღვანელისა და ბელადის როლი ეკუთვნის თანამედროვე საზოგადოების ყველაზე მოწინავე კლასს—მუშათა კლასს. მშრომელ გლეხთა მასების, სხვა დაჩაგრული და შევიწროებული ფენების ბრძოლას მხოლოდ მაშინ აქვს სოციალისტური ხასიათი, თუ მას სათავეში უდგას მუშათა კლასი.

ეს ჭეშმარიტება, როგორც ამას მიუთითებს კომუნისტური პარტიების საინფორმაციო ბიუროს რეზოლუცია „იუგოსლავიის კომუნისტურ პარტიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ", დაივიწყეს იუგოსლავიის კომპარტიის ხელმძღვანელებმა. მათ „იუგოსლავიის სახელმწიფოს ყველაზე მტკიცე საფუძვლად" გამოაცხადეს გლეხობა, ამასთან ისინი ვერ ხედავენ დიფერენციაციას გლეხობაში და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას. ამით იუგოსლავიის კომპარტიის ხელმძღვანელებმა გადაუხვიეს მარქსისტულ-ლენინური გზიდან ხალხოსნური, კულაკური პარტიის გზაზე.

„მოკლე კურსი" გვასწავლის, რომ მუშათა კლასს მხოლოდ მაშინ შეუძლია შეასრულოს ყველა ჩაგრულთა და გაყვლეფილთა ბელადის როლი, მხოლოდ მაშინ შეუძლია მოიპოვოს ძალაუფლება და გლეხობის მშრომელ მასებთან — ღარიბ და საშუალო გლეხობასთან ერთად ააშენოს სოციალიზმი, თუ მას ჰყავს საკუთარი პარტია, ახალი ტიპის პარტია — ხელმძღვანელი შტაბი დიდ და ძნელ ბრძოლაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ეს ჭეშმარიტება დაივიწყეს იუგოსლავიის კომპარტიის ხელმძღვანელებმა, რომლებიც, როგორც ცნობილია, ფაქტიურად დაადგნენ პარტიის ლიკვიდაციის გზას და კლასობრივად უაღრესად სხვადასხვა ელემენტებისაგან შემდგარი სახალხო ფრონტი გამოაცხადეს ძირითად წარმმართველ ძალად ქვეყანაში. ამით იუგოსლავიის კომპარტიის ხელმძღვანელებმა გაიმეორეს რუს მენშევიკთა შეცდომები უპარტიო მასობრივ ორგანიზაციაში პარტიის გათქვეფის შესახებ.

„მოკლე კურსი" გვასწავლის, რომ პარტიას მხოლოდ მაშინ შეუძლია შეასრულოს მუშათა კლასის ხელმძღვანელი შტაბის ნამდვილი როლი, თუ იგი დაუფლებულია საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოცდილებას, შეიარაღებულია მარქსისტულ-ლენინური თეორიით.

„მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძალა,—მიგვითითებს „მოკლე კურსი", — მდგომარეობს იმაში, რომ იგი აძლევს პარტიას შესაძლებლობას გაერკვეს ვითარებაში, გაიგოს გარემომცველ მოვლენათა შინაგანი კავშირი, წინასწარ განჭვრიტოს მოვლენათა მსვლელობა და გამოიცნოს არა მარტო ის, თუ როგორ და საით ვითარდებიან მოვლენები აწმყოში, არამედ ისიც, თუ როგორ და საით უნდა განვითარდნენ ისინი მომავალში".

ეს ჭეშმარიტება დაივიწყეს იუგოსლავიის კომპარტიის ხელმძღვანელებმა, რომლებიც, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და ბოლშევიკური პარტიის უმდიდრესი გამოცდილების შესწავლისა და შემოქმედებითად გამოყენების ნაცვლად, საკუთარი „ორიგინალური" გზების ძიებას შეუდგნენ. სწორედ აქედან გამომდინარეობს იუგოსლავიის კომპარტიის ხელმძღვანელთა გადახვევა მარქსიზმ-ლენინიზმიდან კლასებისა და კლასთა ბრძოლის, შინაპარტიული დემოკრატიის, კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციის გზებისა და სხვა საკითხებში. სწორედ აქედან გამომდინარეობს იუგოსლავიის კომპარტიის ხელმძღვანელთა გადახვევა ინტერნაციონალური ტრადიციებიდან ნაციონალიზმის გზაზე. თავიანთი მოქმედებით იუგოსლავიის კომპარტიის ხელმძღვანელებმა გვიჩვენეს, რომ მათ არ ესმით მარქსიზმ-ლენინიზმი, რომ მათ არ შეუწუხებიათ თავი შეესწავლათ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების ენციკლოპედია — „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი".

ნათქვამიდან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს „მოკლე კურსის" შესწავლას ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიისათვის, მუშათა მთელი საერთაშორისო მოძრაობისათვის.

მაგრამ „მოკლე კურსს" აქვს არა მარტო დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა. „მოკლე კურსმა" უდიდესი როლი შეასრულა და ასრულებს ყველა ჩვენს გამარჯვებაში. სამამულო ომის უმძიმესი განსაცდელი ჩვენმა ხალხმა სწორედ იმიტომ გადაიტანა ასე სასახელოდ, სწორედ იმიტომ მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება, რომ მას ჰქონდა თავისი საქმის სიმართლის ღრმა რწმენა. ამ რწმენის გამომუშავებაში ფასდაუდებელია „მოკლე კურსის" როლი. ჩვენი კადრების, მთელი ჩვენი ხალხის იდეური შეიარაღება განუყრელად დაკავშირებულია „მოკლე კურსთან". ამ ნაშრომის შეუსწავლელად შეუძლებელია საფუძვლიანად დაეუფლო მარქსისტულ-ლენინურ თეორიას.

ახლა, როცა ჩვენი პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იდეოლოგიურ მუშაობას, მასების კომუნისტურად აღზრდას, კომუნისტების, განსაკუთრებით ახალგაზრდა კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებას, „მოკლე კურსის" მნიშვნელობა არა თუ შემცირდა, არამედ კიდევ უფრო გაიზარდა.

„მოკლე კურსის" გამოსვლიდან განვლილი 10 წლის მანძილზე საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს ამ გენიალური ნაშრომის შესწავლისათვის. ამას მოწმობს ჩვენი კადრების იდეური დონის განუხრელი ამაღლება, რაც, თავის მხრივ, გამოხატულებას პოულობს რესპუბლიკის წარმატებებში პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა არ დაკმაყოფილდნენ მიღწეულით, კიდევ უფრო კარგად მოაწყონ დიდი სტალინის გენიალური ნაშრომის „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის", მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა სხვა ნაწარმოებების შესწავლა. კომუნისტების, პირველ რიგში ჩვენი კადრების შეიარაღება მარქსისტულ-ლენინური თეორიით შესაძლებლობას მოგვცემს უფრო სწრაფი ტემპით ავამაღლოთ მასების კომუნისტური შეგნების დონე, უფრო სწრაფად გავწიოთ წინ დიდი **სტალინის** წინამძღოლობით კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ.

ი. ბ. სტალინის მოკლე ბიოგრაფია მორდვულ ენაზე

სარანსკი, 7 სექტემბერი. (საქტეს). მორდვეთის სახელმწიფო გამომცემლობამ მორდვულ ენაზე, მოქშისა და ერზიას კილოკავებზე მასობრივი ტირაჟით, გამოსცა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის მოკლე ბიოგრაფია.

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ მოგილიოვის ოლქმა ვადამდე შეასრულა პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა ნახევარი მილიონი ფუთით მეტი პური, ვიდრე შარშან.

ოლქის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს სულ ცოტა 100 ათასი ფუთი პური ჩააბარონ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით.

ბელორუსიის კ. პ. (ბ) მოგილიოვის საოლქო კომიტეტის
მდივანი პ. ფილიმონოვი

საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის ამსრულებელი
დ. ლუკაშევიჩი

დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული მოგილიოვის
ოლქში ი. ბუკატინი

სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსი მ. შიტოვი

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

სიხარულით მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ უკრაინის სსრ დროგობიჩის ოლქის კოლმეურნეობებმა და გლეხთა მეურნეობებმა ვადამდე, 1948 წლის 2 სექტემბერს, შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. სასურსათო კულტურების—ხორბლისა და ჭვავის—დამზადების გეგმა შესრულებულია 121 პროცენტით.

ოლქის კოლმეურნეობებმა და გლეხთა მეურნეობებმა მიიღეს დონისა და ყუბანის მიწის მუშაკების გამოწვევა და ვალდებულება იკისრეს სულ ცოტა 250 ათასი ფუთი პური ჩააბარონ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით.

უკრაინის კ. პ. (ბ) დროგობიჩის საოლქო კომიტეტის
მდივანი ი. გორობეცი

მშრომელთა დეპუტატების დროგობიჩის საოლქო საბჭოს აღმასკომის
თავმჯდომარე ი. იავორსკი

დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული დროგობიჩის
ოლქში ა. ტროფიმჩუკი

სოფლის მეურნეობის დროგობიჩის საოლქო სამმართველოს
უფროსი ა. ოტკალენკო

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ უკრაინის სსრ პოლტავის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე, 1948 წლის 3 სექტემბერს, შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. ჩაბარებულია 7.560 ათასი ფუთით მეტი ხორბალი და 13.070 ათასი ფუთით მეტი ჭვავი, ვიდრე შარშან. სულ სასურსათო კულტურები—ხორბალი და ჭვავი—ჩაბარებულია გეგმის 123 პროცენტი.

დონისა და ყუბანის მიწის მუშაკთა მოწოდების პასუხად, პოლტავის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს 3.200 ათასი ფუთი პური ჩააბარონ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ ამ ვალდებულებასაც პირნათლად შევასრულებთ.

უკრაინის კ. პ. (ბ) პოლტავის საოლქო კომიტეტის
მდივანი ვ. მარკოვი

მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის
თავმჯდომარე ი. მარტინენკო

სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული პოლტავის
ოლქში პ. ჩაიკინი

სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსი ა. იაკოვენკო

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ ყირგიზეთის სსრ ოშის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 573 ათასი ფუთით მეტი პური, ვიდრე ომამდელ 1940 წელს. ხორბლის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით.

ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს სულ ცოტა 200 ათასი ფუთი პური ჩააბარონ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით.

ყირგიზეთის კ. პ. (ბ) ოშის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. ნაროჟნი
ოშის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ქ. კაჩკეევი
დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ოშის ოლქში პ. კუზნეცოვი
სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსი ვ. ნიკოლსკი

ჩვენს რესპუბლიკაში

ხუთწლედი—სამ წელიწადში

გორი, („კომუნისტის" კორ.). გორელ მეკონსერვეებს გადაწყვეტილი აქვთ წელს ქვეყანას 8.500.000 ქილა კონსერვი მისცენ. ამ რაოდენობის პროდუქციის გამოშვება უზრუნველჰყოფს ხუთწლიანი გეგმის სამ წელიწადში შესრულებას.

ამ საპატიო ამოცანის განაღდებლად მთელი ენერგიით მუშაობს ქარხნის კოლექტივი. უკვე გამოშვებულია 2.800.000 ქილა კონსერვი.

ქარხანა დამამზადებელი ორგანიზაციებისაგან ყოველდღიურად 50-60 ტონა ნედლეულს იღებს. მეკონსერვეები სექტემბერში ორი მილიონი ქილა კონსერვის გამოშვებისათვის იბრძვიან.

ლითონის ახალი სხმულები

ქუთაისი, (საქ. კორ.). საავტომობილო ქარხნის სარემონტო-საჩამომსხმელო საამქრო ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესშია. ამჟამად აქ ამონტაჟებენ სამი ტონა სიმძლავრის ელექტროღუმელს, ხუთასი კილოგრამი სიმძლავრის ამწეს, გამოსაწვავ ღუმელებს და სავენტილაციო გაყვანილობას. მიუხედავად მონტაჟისა, საამქრო მაინც აწარმოებს ლითონის ჩამოსხმას, იგი ყოველთვიურად იძლევა იმდენი ლითონის სხმულს, რამდენიც აკმაყოფილებს ქარხნის საამქროთა მოთხოვნილებას.

ორი გიგანტური ღუმელი, რომელნიც სრული ექსპლოატაციის დროს საათში რამდენიმე ტონა ლითონს ჩამოასხამენ, ამჟამად 250 სხვადასხვა სახის სხმულს იძლევა.

სარემონტო-საჩამომსხმელო საამქროს კოლექტივმა ივლისის დავალება 104,6 პროცენტით შეასრულა, ხოლო აგვისტოში სტახანოვური მოძრაობის წლისთავის აღსანიშნავად კიდევ უფრო გაადიდა ეს მაჩვენებელი.

საამქროში დღითიდღე იზრდება ფოლადის, ბრინჯაოსა და ფერადი ლითონების ჩამოსხმა.

სახლები მეშახტეებისათვის

ტყიბული, (საქ. კორ.). ტყიბულქვანახშირის ტრესტის კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ ლენინის სახელობის შახტის ტერიტორიაზე ააშენა და საექსპლოატაციოდ გადასცა ორსართულიანი მეშახტეთა საერთო საცხოვრებელი სახლი.

ამ სახლში შესახლდება საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლადამთავრებული ახალგაზრდა მეშახტეები.

ამავე განყოფილებამ მეშახტეთათვის დაიწყო სამი ორსართულიანი რვაბინიანი სახლის მშენებლობა.

სახლების მშენებლობა 1949 წლის პირველ ნახევარში დამთავრდება.

მახარაძის რაიონმა ვადამდე შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე — 6 სექტემბრისათვის 100,3 პროცენტით შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის 1948 წლის სახელმწიფო გეგმა.

ჩაის ფოთლის კრეფა წარმატებით გრძელდება.

აჭარის ასს რესპუბლიკამ ვადამდე შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა

აჭარის ასს რესპუბლიკამ ვადამდე—7 სექტემბრისათვის 100,3 პროცენტით შეასრულა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები განაგრძობენ ჩაის ფოთლის კრეფას.

ლაგოდეხის რაიონმა შეასრულა პურის დამზადების გეგმა

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა 5 სექტემბრისათვის 103 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების 1948 წლის გეგმა.

კოლმეურნეობები სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით აბარებენ პურს.

ახალი მშენებლობანი

ქედა, (სპეც. კორ.). რაიონის ცენტრში დამთავრდა ორსართულიანი კაპიტალური შენობის აგება, რომელშიც მოთავსდა რაიაღმასკომის საფინანსო, სავაჭრო და სხვა განყოფილებები და სახელმწიფო დაზღვევის რაიონული ინსპექცია.

ქედის სასოფლო კოოპერატივი მოკლე ხანში დაამთავრებს ორსართულიანი კაპიტალური სახლის მშენებლობას. ზედა სართულში მოთავსდება კოოპერატივის გამგეობა, ხოლო ქვედა სართული გამოყენებული იქნება სასურსათო და სამრეწველო საქონლის საწყობად.

სოფელ კოკოტაურის კოლმეურნეობა „გზა კომუნიზმისაკენ", სოფელ გელიძეების კოლმეურნეობა „წითელი დროშა" და სოფელ ნამონასტრევის კოლმეურნეობა „განთიადი" აგებენ ახალ ელექტროსადგურებს. მშენებლობა მიმდინარე წლის დამლევამდე დამთავრდება.

სოფელ მახუნცეთში დაიწყო თერთმეტწლიანი სკოლის შენობის აგება, რომელიც 800.000 მანეთი ჯდება. პირველი სართულის მშენებლობა ძირითადად დამთავრებულია. სკოლის აგება დამთავრდება მომავალი წლის დამლევისათვის.

სოფელ აგარის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა ინიციატივით წელს ამ სოფელში აგებულ იქნა რვაწლიანი სკოლის შენობა.

სოხუმის მრეწველობის რვა თვის მუშაობის შედეგები

სოხუმი, (საქ. კორ.). აფხაზეთის ასსრ დედაქალაქის საწარმოებმა, რომლებიც წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესასრულებლად იბრძვიან, საერთო პროდუქციის გამოშვების აგვისტოს გეგმა 111,3 პროცენტით შეასრულეს, ხოლო 8 თვისა — 108,1 პროცენტით.

საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებმა 8 თვის გეგმა 103,2 პროცენტით შეასრულეს, ხოლო აგვისტოსი — 111 პროცენტით; სარეწაო კოოპერაციის სისტემის არტელებმა აგვისტოსი — 109,6 პროცენტით, ხოლო 8 თვისა — 118,5 პროცენტით; სოხუმის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა 8 თვისა 106,8 პროცენტით, ხოლო აგვისტოსი — 112,5 პროცენტით.

გეგმების შესრულებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ სანავსადგურო მოწყობილობათა სოხუმის პირველი ქარხანა, სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკა, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი, საკონსერვო ქარხანა და საკონდიტრო ფაბრიკა.

კარგად იმუშავეს აფხაზეთის სარეწაო კავშირის არტელებმა, რომლებმაც გეგმის გადამეტებით გამოუშვეს მილიონ მანეთზე მეტის პროდუქცია.

კოლმეურნეები აშენებენ ელექტროსადგურსა და აბანოს

ლენინგორი, (საქ. კორ.). დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც სოფელ იკოთის კოლმეურნეობის საერთო კრებაზე გამოტანილ იქნა დადგენილება საკოლმეურნეო ელექტროსადგურისა და აბანოს მშენებლობის შესახებ.

იკოთელები შეუდგნენ პრაქტიკულ მუშაობას ელექტროსადგურისა და აბანოს ასაშენებლად.

მშენებლობანი სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და წელსვე დამთავრდება.

ახალი ქარხანა. კლუბი. აბანო

ლაგოდეხი, (სპეც. კორ.). სოფელ ცოდნისკარის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობამ ააგო აგურის ქარხანა, რომელმაც წელს პირველად გამოუშვა 60.000 ცალი აგური. სეზონის ბოლომდე ქარხანა კიდევ დაამზადებს 100.000 ცალ აგურს.

სოფელ მშვიდობიანის გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობა შეუდგა საკოლმეურნეო კლუბის მშენებლობას. კლუბი დაიტევს 350 მაყურებელს, ექნება სამკითხველო, მოსაცდელი ოთახი. მშენებლობა, რომელიც 1948 წლის ბოლოსათვის უნდა დამთავრდეს, 100.000 მანეთი დაჯდება.

აღნიშნულ კოლმეურნეობაში დაიწყეს აბანოს მშენებლობა, რომლის დამთავრება განზრახულია 1948 წლის დეკემბრის ბოლოსათვის. მშენებლობაზე დაიხარჯება 40.000 მანეთი.

დეტექტორული რადიომიმღები

თბილისის რადიოქარხანაში აითვისეს და უკვე სერიულად უშვებენ დეტექტორულ რადიომიმღებს. ამ რადიომიმღების თავისებურება ის არის, რომ მას არ სჭირდება ელექტროენერგია. რადიომიმღები უმთავრესად განკუთვნილია კოლმეურნეებისათვის —ინდივიდუალური სარგებლობის მიზნით.

ამ დღეებში დეტექტორული რადიომიმღები გადაეცემა ცეკავშირს კოლმეურნეობებში სარეალიზაციოდ.

დრამატიული წრე მეშახტეთა კლუბთან

გელათი, (საქ. კორ.). მეშახტეთა კლუბთან არსებულმა დრამატიულმა წრემ დასდგა ს. შანშიაშვილის პიესა „ხევისბერი გოჩა". მეშახტეთა დღის აღსანიშნავად წრემ გამართა კონცერტები. დიდი ინტერესი გამოიწვია ლიტერატურულმა მონტაჟმა თემაზე — „ძველი და ახალი გელათი".

მეშახტეთა კლუბთან არსებული სხვა წრეებიც კარგად მუშაობენ.

საბავშვო ბაღი კოლმეურნეობაში

გალი, (საქ. კორ.). გასულ წელს გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში კოლმეურნეთა ძალებით დაიწყო საბავშვო ბაღისათვის ახალი შენობის აგება.

მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა და დროულად დამთავრდა. ამას წინათ მოხდა ბაღის საზეიმო გახსნა. იგი ლამაზად არის მოწყობილი.

ამრიგად, ოქუმელ კოლმეურნეებს უკვე აქვთ ახალი საბავშვო ბაღის შენობა კოლმეურნეთა შვილებისათვის.

ვაშენოთ სწრაფად, კარგად და იაფად

მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმით მშენებლობის ახალი გრანდიოზული ამოცანებია დასახული. ჩვენი მიზანია არა მარტო აღვადგინოთ ომით დაზარალებული სახალხო მეურნეობა და მივაღწიოთ წარმოების ომამდელ დონეს, არამედ მნიშვნელოვნადაც გადავაჭარბოთ მას.

ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში დგანან საქართველოს მშრომელები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ხორცი შეასხან დიად სტალინურ წინასწარდასახულობებს.

მთელ ჩვენს რესპუბლიკასთან ერთად ახალი მშენებლობა გაჩაღებულია თბილისშიც. თბილისის მშენებელთა მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული მშენებლობის რესპუბლიკური გეგმის შესრულების წარმატება.

ახალი ხუთწლედის პირველმა ნახევარმა უკვე განვლო. ისმება კითხვა: როგორ იმუშავეს დედაქალაქის მშრომელებმა, როგორია ორნახევარი წლის მანძილზე წარმოებული მშენებლობის შედეგები?

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ თბილისელი მშენებლები თავდადებული შრომის ნიმუშებს იძლევიან და გადაჭარბებით ასრულებენ დავალებებს. ორნახევარ წელიწადში დედაქალაქის მშენებლებმა აითვისეს 60.494.000 მანეთი და ხუთწლიანი გეგმა 64 პროცენტით შეასრულეს. ამასთან ამ ციფრებში არ შედის საკავშირო დაქვემდებარების მშენებლობათა მაჩვენებლები.

მიმდინარე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზრდება საქართველოს დედაქალაქის სამრეწველო ძლიერება, მწყობრში ჩადგება თბილისის ლოკომოტივსარემონტო ქარხანა, რომლის წარმადობა ბევრად აღემატება სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონსარემონტო ქარხნის სიმძლავრეს. დაწყებულია კერამიკულ ნაკეთობათა ქარხნის, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის, საგემოვნო მრეწველობის ობიექტების და სხვა მრავალი საწარმოს გაფართოებისა და მშენებლობის სამუშაოები.

ხუთწლიან გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თბილისის კეთილმოწყობის სამუშაოებს. ჩვენი ამოცანა ისაა, რომ თბილისი გადავაქციოთ კიდევ უფრო ლამაზ და კეთილმოწყობილ ქალაქად, რომ მისი შენობები და ქუჩები, მისი სკვერები და ბაღები წარმოადგენდნენ ერთ მთლიან არქიტექტურულ ანსამბლს, რომ ყოველი ახალი შენობა და ნაგებობა მთლიანად აკმაყოფილებდეს მშრომელი მოსახლეობის მოთხოვნილებას.

საექსპლოატაციოდ გადაცემული პირველი ნაგებობანი თვალნათლივ მოწმობენ, რომ დედაქალაქის კეთილმოწყობის საქმეს მშენებლები მთელ სიყვარულს, ცოდნასა და ენერგიას აქსოვენ. ახალი მშენებლობის საგეგმო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის გაჩაღებული ბრძოლის მეოხებით შარშან თბილისის საქალაქო მეურნეობაში 97.273.100 მანეთი დაბანდდა, რაც გეგმის 112,2 პროცენტს შეადგენს. გაშლილი ტემპით მიმდინარეობს დედაქალაქის ორი დიდი ობიექტის — მტკვრის მარცხენა მხარის სანაპირო ქუჩის და საბჭოს ქუჩის ღვარსაშვების მშენებლობა. უკანასკნელი ორნახევარი წლის განმავლობაში ასფალტირებულია 262.000 კვადრატული მეტრი ქუჩები და ტროტუარები, 11,2 კილომეტრზე ჩაწყობილია ახალი და გამოცვლილია ძველი წყალსადენის მილები, 1850 მეტრზე მოწყობილია ახალი საკანალიზაციო კოლექტორები, ქალაქის ელექტროქსელისათვის 8,5 კილომეტრზე გაყვანილია მიწისქვეშა კაბელი, აგებულია 36 სატრანსფორმატორო კიოსკი.

წარმატებით მუშაობენ ქალაქის საბჭოს სამშენებლო ორგანიზაციები. გასულ შვიდ თვეში დედაქალაქში 53.966.100 მანეთის სამუშაო შესრულდა და ამით წლიური გეგმა 63,8 პროცენტითაა განაღდებული. თუ გასული და მიმდინარე წლის მუშაობის ტემპებს შევადარებთ, მივიღებთ, რომ წელს შვიდ თვეში, 1947 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 7.307.500 მანეთით მეტი თანხა იქნა ათვისებული, ანუ 15,7 პროცენტით მეტი სამუშაო შესრულდა.

ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოთა შორის პირველი რიგის ობიექტია მტკვრის მარცხენა სანაპირო ქუჩის მშენებლობა. ამჟამად მდინარის მარცხენა ნაპირზე გაცხოველებით მიმდინარეობს სანაპირო ქუჩისათვის საყრდენი კედლის ამოყვანა. მუშაობის ფრონტი გაშლილია თითქმის ორი კილომეტრის მანძილზე. შევიწროებულია წყლის კალაპოტი და საძირკველი ჩაეყარა კედელს. უკვე ჩაყრილია 28.200 კუბმეტრი ბეტონი და ახალი კედლის ამოსაყვანად მზად არის ფრონტი 400 მეტრის მანძილზე. საყრდენი კედლის ამოყვანაზე ყოველდღიურად 280 კაცი მუშაობს, რომლებიც 25 სხვადასხვა სამშენებლო მექანიზმს იყენებენ და დღეში 20.000 მანეთის სამუშაოს ასრულებენ. სანაპიროს მშენებელთა საპატიო ამოცანაა მკვეთრად აამაღლონ მუშაობის ტემპი. წლის ბოლომდე აქ დამატებით 16.500 კუბური მეტრი ბეტონის სამუშაოები უნდა შესრულდეს. ამისათვის საჭიროა 150-160 კუბური მეტრის ნაცვლად მშენებლები ყოველდღიურად 200 კუბურ მეტრს აბეტონებდნენ.

ქალაქის მეორე დიდმნიშვნელოვან სამშენებლო ობიექტს წარმოადგენს საბჭოს ქუჩაზე ნიაღვარსაშვები კოლექტორის მშენებლობა. აქ 25 აგვისტოსათვის წლიური დავალება შესრულებული იყო 117 პროცენტით. შესრულებულია 6.337 კუბმეტრი ბეტონისა და 19.289 კუბმეტრი მიწის სამუშაოები და კოლექტორი გადახურულია 1000 მეტრის სიგრძეზე. ეს წარმატებანი ღვარსაშვების მშენებელთა შეწყობილი და კარგი მუშაობის შედეგია. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ მათ გაცილებით მეტი შესაძლებლობა აქვთ, ვიდრე ამას გეგმა ითვალისწინებდა. სანიაღვრო კოლექტორის მშენებელთა ღირსების საქმეა სრული დატვირთვით გამოიყენონ მექანიზმები და გააძლიერონ ბეტონის სამუშაოთა შესრულება.

წარმატებით მიმდინარეობს მთავრობის სასახლის მშენებლობა. ახლო მომავალში დედაქალაქის ცენტრს დაამშვენებს ქართული ორნამენტებით შემკული მთავრობის სასახლის ჩინებული ფასადი. 1 სექტემბრისათვის აქ შესრულებული იყო: 11.600 კუბური მეტრი მიწის, 100 კუბური მეტრი ბეტონისა და რკინა-ბეტონის სამუშაოები, ამოყვანილია აგურის კედლები და დაწყობილია 1.604 ათასი ცალი აგური, შესრულებულია ქვის სამუშაოები 2,9 ათასი კუბმეტრის მოცულობით და სხვ.

თბილისელ მშენებელთა ზემოაღნიშნულ წარმატებებში თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ დედაქალაქის ახლო მდებარე რაიონების მშრომელებს. აღსანიშნავია თეთრი წყაროს რაიონის მშრომელთა დახმარება (საქართველოს კ. პ. (ბ) თეთრი წყაროს რაიკომის მდივანი ამხ. ვ. გონგაძე). თეთრი წყაროს რაიონიდან დედაქალაქის სამშენებლო ობიექტებს ამარაგებენ მაღალხარისხოვანი, დამუშავებული სამშენებლო ქვის მასალით.

ქალაქის საბჭოს აღმასკომის ობიექტების მშენებლობას ტრესტი „თბილმშენი“ და აღმასკომის საგზაო-სამშენებლო სამმართველო აწარმოებენ. მარტო „თბილმშენმა“ მიმდინარე წელს 19.400 ათასი მანეთის სამუშაო უნდა შეასრულოს. ეს ორგანიზაცია დედაქალაქის ერთ-ერთი უძლიერესი სამშენებლო ორგანიზაციაა, რომელსაც აქვს მუშაობის დიდი გამოცდილება. „თბილმშენის“ კოლექტივის თავდადებული შრომით დღეს დედაქალაქს ამშვენებს არა ერთი და ორი მაღალმხატვრული არქიტექტურული ნაგებობა. საკმარისია ითქვას, რომ ტრესტ „თბილმშენის“ მიერ არის აგებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის, სახელმწიფო ცირკის, ასბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობები. ამ ტრესტის საწარმოო წარმატებათა მოპოვებაში დიდი წვლილი მიუძღვით ნიჭიერ და გამოცდილ მაღალკვალიფიციურ მშენებლებს კომუნისტ-ინჟინრებს ამხანაგებს: შ. კიკნაძეს, ს. დარჩიაშვილს და ხაჟომიას და მრავალ სხვას, აგრეთვე ტრესტის ხელმძღვანელს ამხ. კ. მორეტის, ტექნიკურ ხელმძღვანელს ინჟინერ მ. ებრალიძეს.

ჩვენი მოწინავე მშენებლები წარმატებით იყენებენ ტექნიკას და დღითიდღე აძლიერებენ მუშაობის ტემპს. თბილისის კეთილმოწყობის სამუშაოები ჩამოთვლილით როდი ამოიწურება — მოწინავე სამშენებლო ობიექტების სია, კარგი მუშაობის მაგალითები კიდევ მრავლად შეიძლება მოვიყვანოთ. ყველა ეს იმას მოწმობს, რომ დედაქალაქის საამშენებლო ორგანიზაციებს ყველა შესაძლებლობა აქვთ ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულონ დავალებები, ახალ საწარმოო გამარჯვებებით გაახარონ დედა-სამშობლო.

საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხ. კ. ჩარკვიანს არაერთხელ მიუთითებია, რომ სამუშაო ადგილის წინასწარ მომზადება მუშაობის წარმატების უტყუარი საწინდარია, რომ სამუშაო იარაღებისა და საშუალებების უქონლად საქმის დაწყება არ შეიძლება, რომ უამპირობოდ ყოველი კარგი წამოწყება განწირულია ჩასაფუშავად. ზოგი ჩვენი სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ივიწყებს ამ მითითებას, დროზე არ ზრუნავს სამუშაო უბნის მოსაწყობად და შემდეგ განგაშსა სტეხს და იერიშობანას მიმართავს. სწორედ უდარდელობით აიხსნება ის, რომ მტკვრის მარცხენა სანაპირო ქუჩის მშენებლობის ხელმძღვანელებმა ვერ გაითვალისწინეს გაზაფხულზე მდინარის მოსალოდნელი ადიდება და დროზე არ მოიმარაგეს მშენებლობისათვის საჭირო ქვიშა და ხრეში. ეს დიდ დაბრკოლებად გადაექცათ მშენებლებს და აპრილიდან ივნისის დამლევამდე ქვიშა-ხრეშის უქონლობის გამო მშენებლობის თითქმის მთელ ფრონტზე მუშაობა შეჩერებული იყო. შრომის ცუდი ორგანიზაციით აიხსნება ის, რომ სანაპიროს მშენებლობაზე სრული სიმძლავრით და სწორად არაა გამოყენებული მექანიზმები.

აღსანიშნავია, რომ მრავალ მშენებლობაზე ადგილი აქვს ცემენტის, ხის და რკინის უყაირათო ხარჯვას. ზოგი წინდაუხედავი მშენებელი ნაგებობის სიმტკიცის მიღწევის საბაბით ხსნარში ბევრ ცემენტს ურევს და ბეტონის შემადგენელი კომპონენტების პროპორციის დარღვევის შედეგად ვერც ბეტონის საჭირო სიმტკიცეს აღწევს და ამასთან ანიავებს დეფიციტურ საშენ მასალას—ცემენტს. ეს ნაკლი რომ გამოვასწოროთ, საჭიროა ფართოდ დავნერგოთ საბჭოთა სამშენებლო ტექნიკის მიღწევები და ყველა საშუალება გამოვიყენოთ იმისათვის, რათა საშენ მასალათა მომჭირნეობით მივიღოთ უკეთესი შედეგი, ეფექტური გავხადოთ ჩვენი შრომა.

სამშენებლო კადრების ნაკლებობას განიცდიან პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლის, მარის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლის და შაუმიანის ქუჩაზე კინოთეატრის შენობათა მშენებლობანი. ამ მშენებლობათა სამეურნეო და პარტიულმა ხელმძღვანელებმა ვერ შეიგნეს, რომ საჭიროა ორგანიზებულად შევაგროვოთ მუშები, აღვზარდოთ მაღალკვალიფიციური კადრები, ყოველ მუშას რამდენიმე პროფესია შევასწავლოთ. ძირშივე უნდა აღვკვეთოთ თვითდინების მავნე ტენდენცია, მოვაწყოთ კადრების გეგმიანი შეგროვება და მომზადება, ფართოდ გავშალოთ მოძრაობა პროფესიათა შეთავსებისათვის, უზრუნველვყოთ სამშენებლო უბნები საქმის მცოდნე, გამოცდილი მუშაკებით.

საპროექტო სამუშაოები მკვეთრად ჩამორჩებიან მშენებლობის ტემპებს. ზოგჯერ მშენებლობა ჩერდება სათანადო პროექტის უქონლობის გამო. მაგალითად, ამის წინათ მთავრობის სასახლის მშენებლობაზე, შენობის ვესტიბულებისა და დარბაზების დაწვრილებითი პროექტის უქონლობის გამო, მუშაობა ერთხანს შეფერხდა. პროექტი სწრაფი, კარგი და იაფი მშენებლობის უეჭველი საწინდარია. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საპროექტო ორგანიზაციის არსებითი ნაკლი ისაა, რომ მას არ გააჩნია ერთი მთლიანი სამუშაო გეგმა, ნაკლებად ზრუნავს მომავალი წლების სამუშაოთა დაპროექტებისათვის. ამასთან ზოგიერთი მეგეგმავე-ინჟინერი ღრმად არ სწვდება საბჭოთა ტექნიკის მიღწევებს და ადგენს ზერელე პროექტს. მტკვრის მარცხენა სანაპირო ქუჩის საყრდენი კედლის პროექტი შედგენილი იყო ისე, რომ ყოველ გრძივ მეტრზე 40-50 კუბური მეტრი ბეტონი იხარჯებოდა. საკმაო გახდა ამ პროექტში ოდნავი კონსტრუქციული შესწორებების შეტანა, რომ ბეტონის ხარჯვა განახევრებულიყო. ასევე ბეტონის ეკონომია მივიღეთ საბჭოს ქუჩაზე ნიაღვარსაშვები კოლექტორის პროექტის ცოტაოდენი შესწორების შედეგად. სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ იმ მუშაკებს, რომლებიც უვიცობით თუ სხვა მიზეზით აპროექტებენ და აშენებენ დეფექტურ ნაგებობებს. ასევე მთელი სიმკაცრით უნდა ვებრძოლოთ იმათაც, ვინც ნაგებობის სიმტკიცის მიღწევის საფარველით უანგარიშოდ ხარჯავს და ანიავებს ძვირფას საშენ მასალებს.

საჭიროა მშენებლობანი დროზე უზრუნველვყოთ არა მარტო ძირითადი პროექტით, არამედ დაწვრილებითი სამუშაო პროექტებითაც. საპროექტო ორგანიზაციებს, რომლებიც სხვის მუშაობას გეგმავენ, თვით უნდა ჰქონდეთ ერთი მთლიანი სამუშაო გეგმა, რომელიც უზრუნველჰყოფს მაღალხარისხოვანი პროექტებით მომავალი წლის სამუშაოებსაც.

დედაქალაქის პარტიული და სამეურნეო მუშაკების გადაუდებელი ამოცანაა საშენ მასალათა საწარმოების მუშაობის გაუმჯობესება, მათ მიერ დამზადებული პროდუქციის ხარისხის ამაღლება. ჯერ კიდევ უხეიროდ მუშაობენ თბილისის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები. ისინი აგურის დაყალიბებისა და გამოწვის ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევის შედეგად დაბალი ხარისხის პროდუქციას უშვებენ. დაბალი ხარისხის კირი და გაჯი ძლიერ აფერხებს მშენებელთა მუშაობას, დაბლა სწევს შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს. ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მუშაობისათვის პასუხისმგებელნი არიან არა მარტო თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, არამედ პარტიის რაიკომებიც, რომელთა ტერიტორიაზეც ეს საწარმოები მდებარეობენ. დროა მტკიცედ მოვკიდოთ ხელი საშენ მასალათა საწარმოების მუშაობის გაუმჯობესებას, რათა ახალი მშენებლობები უზრუნველვყოთ კეთილხარისხოვანი მასალებით.

სამშენებლო ობიექტებზე მუშაობის გაჭიანურება გამოწვეულია იმითაც, რომ სამუშაოთა ზოგი მწარმოებელი ძველებურად მუშაობს, არ ნერგავს მშენებლობის ახალ მეთოდს — ნაკადური მუშაობის მეთოდს. ამ მეთოდის არსი ის არის, რომ მშენებლობის მიმდინარეობის შესაბამისად თანმიმდევრულად შევასრულოთ ყველა სამუშაო, რაც იძლევა მუშახელის ეკონომიას და სამუშაოთა კარგ ხარისხს. მარჯანიშვილისა და პლეხანოვის ქუჩების კუთხეში ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა საერთოდ დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, მაგრამ ნაკადური მეთოდი აქ დღემდე არ არის დანერგილი. ნაცვლად იმისა, რომ შიდა სამუშაოები ცალკე სართულების ამოყვანის პარალელურად წარემართათ, არ „ულალატეს“ ძველ მეთოდს და ეს სამუშაოები მხოლოდ ხუთივე სართულის დამთავრების შემდეგ დაიწყეს. ამან კი ის გამოიწვია, რომ შიდა სამუშაოები ჩამორჩა მშენებლობის საერთო ტემპს, გაჭიანურდა საცხოვრებელი სახლის სრული დამთავრება და მისი საექსპლოატაციოდ გადაცემა. მაშასადამე, საჭიროა მშენებლობაზე ფართოდ დავნერგოთ ნაკადური მუშაობის მეთოდი, სამუშაოები ვაწარმოოთ გარკვეული თანმიმდევრობით და არ დავუშვათ სამუშაოთა ცალკე სახეების ჩამორჩენა.

მშენებელთა შრომის დაბალი ნაყოფიერების მიზეზი შრომის ანაზღაურების არასწორ სისტემაშიც უნდა ვეძიოთ. მაგალითად, სრულიად არანორმალურია ის, რომ ტრესტ „თბილმშენის“ ტრანსპორტის დარგის მუშაკებს გადაზიდვის გეგმის საგრძნობი გადაჭარბების დროსაც კი ერთეულ სამუშაოს შესრულებაში ეძლევათ იმდენივე, რამდენიც გეგმის არშემსრულებელ მუშას. შრომის ანაზღაურების ასეთი წესი მუშაკს არ აძლევს სტიმულს უკეთ მუშაობისათვის, იგი ათანაბრებს სტახანოველსა და ჩამორჩენილს.

ჩვენი ამოცანაა ხელი შევუწყოთ სტახანოვურ მოძრაობას, გავაფართოოთ, მასობრივი გავხადოთ იგი. ამისათვის საჭიროა შრომის ანაზღაურების სისტემაც დავუქვემდებაროთ სტახანოველთა ინტერესებს, მოვსპოთ გათანაბრება.

გაშლილი მშენებლობის წარმატების უეჭველ წინაპირობას წარმოადგენს საშენი დეტალების ტიპიზაცია და სტანდარტიზაცია, რაც შესაძლებელია მათი საქარხნო წესით დამზადების პირობებში. მართალია, ამ მიმართულებით გადადგმულია ნაბიჯები, მაგრამ სამშენებლო დეტალების დამზადების დღევანდელი დონე აშკარად არადამაკმაყოფილებელია. ერთი მაგალითი: პლეხანოვის და მარჯანიშვილის ქუჩების კუთხეში ხუთსართულიანი სახლის მშენებლობის შიდა სამუშაოების გაშლას ამჟამად ისიც აფერხებს, რომ აქ მშენებლებს არა აქვთ კარ-ფანჯრების ჩარჩოები, პარკეტი და სხვა სტანდარტული დეტალები.

დედაქალაქის საბჭოთა და სამშენებლო ორგანიზაციების მოვალეობაა მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებისადმი, უზრუნველჰყონ ახალი მშენებლობები ტიპიური და სტანდარტიზებული დეტალებითა და მოწყობილობით.

მშენებლობის დარგში არსებულმა ნაკლოვანებებმა გარკვეული დაღი დააჩნიეს დავალებათა შესრულების მიმდინარეობას. განსაკუთრებით ეს ითქმის საბინაო და სასკოლო მშენებლობაზე. შვიდი თვის დავალება საცხოვრებელი ბინების მშენებლობის მხრივ შესრულებულია 59,7 პროცენტით, ხოლო სასკოლო მშენებლობის დარგში—მარტოოდენ 42,4 პროცენტით. აღსანიშნავია, რომ გასული 2 წლისა და 7 თვის განმავლობაში თბილისში საექსპლოატაციოდ გადაეცა 3.632 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ეს მაშინ, როდესაც ხუთწლიანი გეგმით თბილისში უნდა აშენდეს 25.500 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი სახლები.

დედაქალაქის მშენებელთა მიღწევებსა და ნაკლოვანებებში თავის გამოხატულებას ჰპოვებს პარტიული ორგანიზაციების მუშაობა. სადაც კომუნისტები ღრმად სწვდებიან მშენებლობის საკითხებს, სადაც ისინი ნამდვილად ასრულებენ ავანგარდულ როლს და სოციალისტური შეჯიბრების სათავეში არიან, იქ მუშაობა კარგად მიმდინარეობს, აშენებენ სწრაფად, კარგად და იაფად. მაგრამ უნდა ითქვას, რომ პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ საკმაო ყურადღებას ვერ აქცევენ ძალების სწორ განაწილებას. სამშენებლო ობიექტებზე შეხვდებით ისეთ უბანს, სადაც არ არის კომუნისტი, საქმის ეს პირველი ორგანიზატორი და მოთავე. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ნაკლებად იბრძვის მშენებლობის თვითღირებულების შემცირებისათვის. გაშლილი მშენებლობა ყოველი კომუნისტისაგან, თვითეული მშენებლისაგან მოითხოვს ფართოდ გააჩაღონ ბრძოლა საშენი მასალების და ფულადი სახსრების ეკონომიისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ მშენებლობის გაძვირება სახელმწიფო თანხების მფლანგველობაა და ამას ვერ დავუშვებთ.

სამშენებლო ობიექტების პარტიულმა ორგანიზაციებმა პოლიტიკურად უნდა უზრუნველჰყონ მშენებელთა წარმატებანი. ეს სრულიადაც არ ნიშნავს კანცელარიაში ჯდომას და დადგენილებების წერას. სამეურნეო წარმატებათა პოლიტიკურად უზრუნველყოფა ნიშნავს: ჯერ ერთი, მუშათა ფართო მასების შეგნებამდე დავიყვანოთ დასახული ამოცანის მნიშვნელობა; მეორე, დავეხმაროთ მუშებს და სამეურნეო დარგის მუშაკებს სრულად გამოიყენონ ის მატერიალური შესაძლებლობანი, რაც გაგვაჩნია, და, ბოლოს, პირადი მაგალითით გავიყოლიოთ მასები დასახული მიზნის განსახორციელებლად.

საქართველოს დედაქალაქის — თბილისის ბოლშევიკები, რომლებმაც გამოიარეს ბრძოლისა და შრომის დიადი სტალინური სკოლა, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით პირნათლად შეასრულებენ ახალი სტალინური ხუთწლედის დიად მშენებლობათა სამუშაოებს და კვლავაც ძლევამოსილად ივლიან წინ კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ, რომლისკენაც მტკიცედ მივყავართ ჩვენს დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს.

გ. ზამბახიძე
საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი

მიეცით სამშობლოს მილიონობით ზეგეგმითი დაგროვება!

მეტალურგები ავლენენ დამატებით შესაძლებლობებს

ფეროშენადნობთა ქარხნის ყველა საამქროში, ცვლასა და ბრიგადაში გულდასმით ეცნობიან მოსკოვის 35 მოწინავე საწარმოს ხელმძღვანელთა წერილს ამხანაგ სტალინისადმი და სახავენ ღონისძიებებს ზეგეგმითი დაგროვების გადიდებისათვის.

— ჩვენი ქარხნის კოლექტივმა, — განაცხადა ქარხნის დირექტორმა ამხ. ივ. კეკელიძემ, — მიმდინარე წლიდან უარი სთქვა სახელმწიფო დოტაციაზე. ჩვენ პირობა მივეცით დიდ სტალინს წლის მეორე ნახევარში ქვეყანას გეგმის გადამეტებით მივცეთ დიდძალი მაღალხარისხოვანი ლითონი, 4 პროცენტით შევამციროთ ელექტროენერგიის ხარჯი, სამეურნეო ანგარიშის მტკიცედ დანერგვით, შრომის ნაყოფიერების ზრდით, ძირითადი მასალების ეკონომიითა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მივიღოთ 3 მილიონი მანეთი დაგროვება. ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს მივაღწიოთ ძირითადი მასალებისა და ელექტროენერგიის ხარჯვის შემდგომ ეკონომიას, შრომის ნაყოფიერების კიდევ უფრო გადიდებას, თვითღირებულების შემცირებას და 3 მილიონი მანეთის ნაცვლად უზრუნველვყოთ 3.800.000 მანეთი წმინდა დაგროვება.

ქარხანამ მიმდინარე წლის 8 თვის გეგმა 103,7 პროცენტით შეასრულა, დაზოგა 5,5 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, აქედან მარტო ივლის-აგვისტოში 2.400.000 კილოვატსაათი.

ს. მუმლაძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მოსკოველთა წერილი მოიწონეს

ქუთაისის საწარმოებში ფართო გამოხმაურება ჰპოვა მოსკოვის 35 საწარმოს ხელმძღვანელთა წერილმა ამხანაგ სტალინისადმი სოციალისტური დაგროვების გადიდების შესახებ.

აბრეშუმკომბინატის სამიათასიანმა კოლექტივმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი დედაქალაქის მოწინავე საწარმოებს. საამქროებში მოწვეულ კრებებზე ფეიქრებმა პირობა დადეს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით გასწიონ 2.350 ათასი მანეთი ეკონომია, განახორციელონ რაციონალიზატორული ღონისძიებანი და სახელმწიფოსაგან მისაღები დოტაციის თანხა შეამცირონ 2.500 ათასი მანეთით, შექმნან პირობები საწარმოს რენტაბელური მუშაობისათვის.

მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხანაში მოწვეულ კრებაზე მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივმა ყურადღებით მოისმინა ქარხნის დირექტორის ა. მაჭარაძის ინფორმაცია მოსკოველთა თაოსნობის შესახებ. ქარხნის კოლექტივმა, რომელიც კარგახანია უდოტაციოდ მუშაობს, გადასინჯა თავისი შესაძლებლობანი და იკისრა წლის ბოლომდე ქვეყანას მისცეს ერთი მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება. სამკერვალო ფაბრიკამ იკისრა გეგმით გათვალისწინებულის გადამეტებით დააგროვოს 870 ათასი მანეთი.

მოსკოველთა მიმართვა ერთსულოვნად მოიწონეს ქალაქის ათობით სხვა საწარმოშიც. ლიტოპონის ქარხნის კოლექტივმა იკისრა დამატებით დააგროვოს 1 მილიონი მანეთი, ხოლო მაუდის ფაბრიკისა და ტყავფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივებმა — 700-700 ათასი მანეთი.

გ. მეფისაშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ამცირებენ პროდუქციის თვითღირებულებას

რუსთავი, (საკ. კორ.). მოსკოვის 35 მოწინავე საწარმოს კოლექტივების წერილმა ხალხთა დიდი ბელადის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ სტალინისადმი შრომითი ენთუზიაზმის ახალი აზვირთება გამოიწვია საქართველოს მეტალურგთა ქალაქის — რუსთავის საწარმოებში.

ცენტრალურ საბეტონო კომბინატში შეამოწმეს განვლილი თვეების მანძილზე გაწეული მუშაობის შედეგები და გამოირკვა, რომ კომბინატის კოლექტივმა 8 თვის დავალება 150 პროცენტით გაანაღდა, ხოლო არმატურის დამზადების დარგში შესრულებული აქვს წლიური გეგმა.

მოსკოველთა პატრიოტული ინიციატივის პასუხად კომბინატის კოლექტივმა იკისრა წლის გეგმის გადამეტებით გამოუშვას 1 მილიონი მანეთის პროდუქცია, ხოლო წლიური გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით შეასრულოს 1 ოქტომბრისათვის. კოლექტივმა კონკრეტული ვალდებულებები იკისრა აგრეთვე პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირებისა და დაგროვების გადიდების უზრუნველსაყოფად.

შესდგა მეტალურგიული ქარხნის მოქმედი საწარმოების პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირი მოსკოველთა ინიციატივის პასუხად ახალ ვალდებულებათა აღების საკითხის განსახილველად. თათბირზე გამოირკვა, რომ ქარხნის მოქმედ დამხმარე საწარმოებს 1 აგვისტოსათვის გაუწევიათ 1.989.000 მანეთის ეკონომია. თათბირის მონაწილეებმა იკისრეს კიდევ უფრო მტკიცედ დანერგონ ყველა რგოლში სამეურნეო ანგარიში, განახორციელონ მომჭირნეობის რეჟიმი და პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირებით სახელმწიფოს მისცენ 3.000.000 მანეთი ეკონომია.

ფეიქართა ვალდებულებანი

საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა კოლექტივებმა გულდასმით განიხილეს მოსკოვის 35 მოწინავე საწარმოს ხელმძღვანელთა წერილი ხალხთა ბელადის დიდი სტალინისადმი პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირებით ზეგეგმითი სოციალისტური დაგროვების მიღების შესახებ. საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა გამოიანგარიშეს თავიანთი შესაძლებლობანი და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ნედლეულის, დამხმარე მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობით, საამქროთა და საერთო-საფაბრიკო ხარჯების შემცირებით, დაზგა-დანადგარების სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენებით, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებითა და სტახანოველთა რიგების განუხრელი ზრდით რესპუბლიკის საფეიქრო საწარმოებს შეუძლიათ მილიონობით მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მისცენ ჩვენს სამშობლოს.

რენტაბელურად მომუშავე საფეიქრო საწარმოთაგან წულუკიძის აბრეშუმის ძაფსალები ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა სახელმწიფოს მისცეს 1.100 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება, მახარაძის აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხმა ფაბრიკამ—850 ათასი მანეთი, თელავის აბრეშუმის ძაფსალებმა ფაბრიკამ—800 ათასი მანეთი, სამტრედიის აბრეშუმის ძაფსალებმა ფაბრიკამ—700 ათასი მანეთი, თბილისის ბამბის ფაბრიკამ—250 ათასი მანეთი, შულავრის ბამბის საწმენდმა ქარხანამ—200 ათასი მანეთი, მაქო-კოჭების ფაბრიკამ—100 ათასი მანეთი.

სახელმწიფო დოტაციით მომუშავე საწარმოთაგან ქუთაისის აბრეშუმკომბინატის კოლექტივმა იკისრა 2.500 ათასი მანეთით შეამციროს მისაღები დოტაციის თანხა, თბილისის მაუდკამვოლის ფაბრიკამ—2 მილიონი მანეთით, ქუთაისის მაუდისა და თბილისის აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკებმა—700 ათასი მანეთით თვითეულმა, ბამბის ძაფსართავმა ფაბრიკამ — 500 ათასი მანეთით.

სულ საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს საწარმოები წელს სახელმწიფოს მისცემენ 4 მილიონ მანეთ ზეგეგმით დაგროვებას და გასწევენ 6.400 ათასი მანეთის ეკონომიას.

თბილისში ჩამოვიდა გერმანიის ქალთა დემოკრატიული კავშირის დელეგაცია

6 სექტემბერს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა გერმანიის ქალთა დემოკრატიული კავშირის დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის მოწვევით.

დელეგაციას მეთაურობს გერმანიის ქალთა დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე ემი დამერიუსი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: კავშირის ვიცე-თავმჯდომარე კეტე კერნი, კავშირის გენერალური მდივანი მარიამ რენტმაისტერი, ტიურინგიის მხარის განათლების მინისტრი მარიამ ტორნპორსტი და სხვები.

აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ნ. ჯავახიშვილი-კომახიძე. საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თ. მათიაშვილი, პროფ. დ. ბერეჟიანი და სხვები.

საქართველოში დელეგაცია რამდენიმე დღეს დაჰყოფს. სტუმრები გაეცნობიან თბილისის ღირსშესანიშნავ ადგილებს, საწარმოთა და დაწესებულებათა მუშაობას. ინახულებენ ამხანაგ სტალინის სამშობლო ქალაქ გორს.

(საქდესი).

პარტიული ცხოვრება

მეტი ხელმძღვანელობა, მეტი დახმარება აგიტატორებს

540 აგიტატორი, 200-მდე მესაუბრე-წამკითხველი და 35 აგიტკოლექტივი — აი ის ძალა, რომლითაც ქარელის რაიონის პარტორგანიზაციები მოსახლეობაში ეწევიან მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას. მოსავლის აღების პერიოდში რაიკომმა შესამჩნევად გააძლიერა აგიტატორებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება. ივლისში საგიტაციო მუშაობის მდგომარეობის შესამოწმებლად რაიკომმა გამოიყენა 21 აქტივისტი. გამოკვლევის შედეგების განხილვას მიეძღვნა აგიტატორთა ზონალური თათბირები, რომლებზეც მოხსენებებით გამოვიდნენ რაიონის ხელმძღვანელი ამხანაგები ი. რთველიაშვილი, ვ. გელაშვილი, ს. პავლაძე, გ. წიკლაური, დ. ლობჟანიძე, ვ. ინასარიძე, ვ. გოჩაშვილი.

საგიტაციო-მასობრივ მუშაობაში მაინც არის ნაკლოვანებანი. აგიტატორთა სემინარებს არ იწყობს რუისის აგიტკოლექტივი, რომლის ხელმძღვანელია ამხ. ი. ფოჩხუა. რუისში საგიტაციო მუშაობა შეწყვიტეს ამხანაგებმა ნასყიდაშვილმა, ბუზიაშვილმა და ელჩიბეგაშვილმა. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ზომებს არ იღებს პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. რ. სულაშვილი. უკანასკნელი სამი თვის მანძილზე პარტიულ კრებას ერთხელაც არ ჰქონია მსჯელობა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე.

არიან აგიტკოლექტივის ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც ყოველი შემოწმებისას პირობას იძლევიან მუშაობას გარდაქმნითო, მაგრამ პირობა პირობად რჩება და მდგომარეობა კვლავ გამოუსწორებელია. ასეთია ბრეთის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ამხ. ა. კირკიტაძე.

აგიტატორთა მუშაობას სათანადოდ არ წარმართავს სალოლაშენის აგიტკოლექტივი. ბევრი აქაური აგიტატორი სუსტად ერკვევა მიმდინარე პოლიტიკისა და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებში. აგიტატორ დ. ონიაშვილს წარმოდგენა არ აქვს იუგოსლავიის კომპარტიაში შექმნილ მდგომარეობაზე.

კარგი იქნება, თუ საქართველოს კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომი განიხილავს აგიტატორთა ზონალური თათბირების შედეგებს და დასახავს კონკრეტულ ღონისძიებებს საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გასაძლიერებლად.

ს. დიანოსიძე

საქართველოს კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომის პლენუმი

შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომის VII პლენუმი. საქართველოს კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ბ. ყურაშვილმა. მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რის შემდეგაც პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო პლენუმმა ამხ. ბ. ყურაშვილი გაათავისუფლა საქართველოს კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან.

პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. დ. ქელიძე და შეიყვანა იგი ბიუროს შემადგენლობაში.

პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომის მდივანი კადრების დარგში ამხ. დ. კეკლიშვილი მისი სასწავლებელში წასვლის გამო გაათავისუფლა სამუშაოდან.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგემ ამხ. კ. პიპინაძემ.

ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრეების გამოშვება

ამბროლაური, (საქ. კორ.). რაიონის ზოგიერთ პირველად პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილი იყო ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრეები. 4 წრემ უკვე დაამთავრა მუშაობა.

ამ დღეებში მოხდა სოფელ წესის პირველად პარტორგანიზაციასთან შექმნილი წრის გამოშვება, რომელშიც 18 მსმენელი იყო გაერთიანებული. გამოშვებულ იქნა აგრეთვე წრეები, რომლებიც შექმნილი იყო მშრომელთა დეპუტატების ამბროლაურის რაიონული საბჭოს აღმასკომის, სხვავისა და ხიდიკრის ტერიტორიულ პარტორგანიზაციებთან. მალე მოხდება დანარჩენი წრეების გამოშვებაც.

საღამოს პარტიულმა სკოლამ მუშაობა დაამთავრა

ზუგდიდი, (საქ. კორ.). ამ დღეებში შესდგა ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობასთან არსებული საღამოს პარტიული სკოლის გამოშვება. სკოლამ მუშაობა დაიწყო შარშან დეკემბერში. სკოლაში სწავლობდნენ ხეცერისა და ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობებისა და ნარაზენის ჩაის ფაბრიკის ხელმძღვანელი პარტიული, სამეურნეო და კომკავშირული მუშაკები, სულ 29 კაცი.

მსმენელებმა შეისწავლეს „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", „სსრ კავშირისა და უცხოეთის ქვეყნების გეოგრაფია" და პარტიული და საბჭოთა მშენებლობის საკითხები.

სკოლადამთავრებულთათვის მოეწყო მეთოდური ხასიათის საუბარი წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის შესახებ.

პურეულის აღება და ლეწვა

თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 98 პროცენტით. პურეულის მოსავლის აღება არ დაუმთავრებიათ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს და ბოგდანოვკის, ადიგენის, გორის, ბორჯომის, წალკის, თიანეთის, ყაზბეგის, ბოლნისის, საგარეჯოს, დმანისის, ქვემო სვანეთის, ონისა და ჭიათურის რაიონებს.

პურეულის ლეწვის რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 80,3 პროცენტით. ლეწვა დაუმთავრებელია სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და 25 რაიონში.

აღებულია 2.405 ჰექტარი სიმინდი

წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა აიღეს 698 ჰექტარი სიმინდი, კაჭრეთის რაიონის კოლმეურნეობებმა — 480, გურჯაანის — 122, საგარეჯოს — 109, თბილისის — 128, ლაგოდეხის — 269, ყვარლის — 61, თეთრი წყაროს — 85, ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებმა — 453 ჰექტარი. სულ რესპუბლიკაში სიმინდის მოსავალი აღებულია 2.405 ჰექტარზე.

მზრალად ხნვა

კოლმეურნეობებში მზრალად მოხნულია 47.311 ჰექტარი, რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 31,5 პროცენტით.

თიანეთის რაიონს მზრალად ხვნა არ დაუწყია. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მზრალად ხვნის გეგმა 18,7 პროცენტით არის შესრულებული, ახალქალაქის რაიონში — 37,7 პროცენტით, ბოგდანოვკის — 56,3, ახალციხის — 30,4, ადიგენის — 17,4, ასპინძის — 46,4, ხაშურის — 48,2, ქარელის —32,2, გორის —18,3, კასპის — 6, ბორჯომის — 7,9, წალკის— 44,1, დუშეთის — 21,2, თეთრი წყაროს — 4,5, გურჯაანის — 53,9, კაჭრეთის — 63,3, სიღნაღის — 27,5, წითელწყაროს—43,9, თელავის—43,2, ახმეტის 76,4, ყვარლის—59,8, ლაგოდეხის—27,9, თბილისის—31,1, მცხეთის — 4,7, გარდაბნის — 31,2, მარნეულის — 8,8, ბოლნისის — 1.2, საგარეჯოს — 17,9, დმანისის რაიონში — 3,7 პროცენტით.

საშემოდგომო ხნა-თესვა

მთელ რიგ რაიონებში გაჩაღებულია საშემოდგომო კულტურების თესვა. საჩხერის რაიონში დათესილია 1.012 ჰექტარი პური, ჭიათურის რაიონში — 143, ონის — 140, ცაგერის — 168, ახალქალაქის — 337, გორის რაიონში — 111 ჰექტარი. სულ რესპუბლიკაში დათესილია 1.911 ჰექტარი პური.

წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებს საშემოდგომო კულტურებისათვის ახლად მოხნული აქვთ 9.537 ჰექტარი მიწა, სიღნაღის რაიონისას — 6.078, მცხეთის — 2.668, გარდაბნის 1.486, ლაგოდეხის — 753, ახმეტის — 2.285, კასპის — 2.300, გორის — 1.730, ქარელის რაიონის კოლმეურნეობებს — 660 ჰექტარი.

ქუთაისელთა მიმართვის პასუხად

ვითარდება ფიზკულტურული მოძრაობა

ძველათ სამხრეთ ოსეთში საცხენოსნო სპორტი თუ იყო ცნობილი. კარგი ცხენოსნის სახელი სწრაფად მოივლიდა ოსეთის სოფლებს. ადამიანები ქება-დიდებას ასხამდნენ ცხენოსანს. ეს ტრადიცია დღემდე შემოუნახავთ. კიდევ მეტი, ცხენოსნობა ახლა უფრო პოპულარულია სამხრეთ ოსეთში, ვიდრე ძველათ იყო. ოლქში ყოველწლიურად ტარდება შეჯიბრებანი ცხენოსნობაში. უკანასკნელ წლებში მრავლად აღიზარდნენ საუკეთესო ცხენოსნები. მრავალმა მათგანმა სახელი გაითქვა დიდი სამამულო ომის დღეებში. ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ ისა პლიევის ხელმძღვანელობით სამხრეთ ოსეთიდან წასულმა ცხენოსნებმა საბრძოლო დიდების ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერეს კავკასიის დაცვის გმირულ ისტორიაში.

ახლა სამხრეთ ოსეთში არა მარტო საცხენოსნო სპორტი სარგებლობს პოპულარობით. ოლქს ამჟამად აქვს 2 საფეხბურთო მოედანი, ერთი სტადიონი ქ. სტალინირში, 15 სასპორტო მოედანი, 3 სასპორტო დარბაზი. თუ რამდენიმე წლის წინათ ოლქის ფიზკულტურელთა რაოდენობა ათეულობით განისაზღვრებოდა, ახლა ეს რიცხვი 8.581-მდე გაიზარდა.

ოლქის მშრომელები კარგად იცნობენ ფიზკულტურელებს: სიგრძეზე ხტომის ოსტატს მარო კეკოშვილს, ბადროს მტყორცნელ ნინო კოჩიევას, ყუმბარმტყორცნელ სირანა ბედოევას, ბირთვის მტყორცნელ ქ. შავლოხოვს, სიმაღლეზე ხტომის ოსტატს ო. აბაევს, მძლეოსნებს ქ. გალავანოვს და ა. მაგიევს, ქართული ჭიდაობის ფალავნებს გაზაშვილს და ტიბილოვს, მოჭადრაკეებს ო. გასიევს, გ. ჯიოევს, ვ. ცხოვრებოვს და სხვ.

ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციების მიმართვას მასობრივ-ფიზკულტურული და სასწავლო-სპორტული მუშაობის უფრო ფართოდ გაჩაღების შესახებ მხურვალედ ეხმაურებიან სამხრეთ ოსეთში. ტარდება ღონისძიებანი ფიზკულტურული ორგანიზაციების განსამტკიცებლად, ყალიბდება ახალი ფიზკულტურული კოლექტივები.

ოლქის რაიონებში მიმდინარეობს წინასამზადისი საოლქო შეჯიბრებისათვის მსუბუქ მძლეოსნობაში. რაიონებში შეჯიბრება ჩატარდება 15 სექტემბრამდე. 15 სექტემბრიდან მოეწყობა შეჯიბრება ოლქის პირველობაზე. უახლოეს ხანში მოეწყობა აგრეთვე საოლქო შეჯიბრება რბენაში.

ახლა ოლქის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში იხილავენ ქუთაისელთა მიმართვას და მის საპასუხოდ ახალ ვალდებულებებს იღებენ. რაიონებისა და საქალაქო ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტებმა, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა და პირადად მისმა თავმჯდომარემ გ. გაგიევმა ენერგიული მუშაობა უნდა გააჩაღონ იმისათვის, რომ აღებულ ვალდებულებებს მოჰყვეს ცოცხალი საქმე.

ვლ. გელაშვილი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

მასობრივი სპორტის განვითარებისათვის

გორის რაიონის ფიზკულტურელებს შორის მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის რაიონის ფიზკულტურელთა მიმართვამ. აგიტატორები შეუდგნენ მოსახლეობაში საუბრების ჩატარებას თემაზე: „ვიბრძოლოთ ფიზკულტურული მოძრაობის ნამდვილი მასობრიობისათვის!"

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა ჩაატარა აქტივის თათბირი. თათბირის მონაწილეებმა განიხილეს ქუთაისელთა მიმართვა, რომელიც მათ გააცნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ბეთლემიძემ. გორელმა ფიზკულტურელებმა იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი: ფიზკულტურული მოძრაობის ძირეული რგოლების ორგანიზაციული განმტკიცების დარგში — მიმდინარე წლის ბოლოსათვის დამატებით შექმნან 32 ფიზკულტურული კოლექტივი და 8 ფიზკულტურული წრე, ხოლო ფიზკულტურულ მოძრაობაში ჩააბან რაიონის მოსახლეობის 10 პროცენტი; კადრებთან მუშაობის დარგში — მოაწყონ ძირეული კოლექტივების თავმჯდომარეთა მოსამზადებლად ზონალური კურსები 40 კაცისათვის, ხოლო მოკლევადიანი სემინარები მოუწყონ ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის 25 თავმჯდომარეს; სპორტის სხვადასხვა დარგში ინსტრუქტორებად მოამზადონ 20 კაცი, მეორე და მესამე კატეგორიის მსაჯებად — 29 კაცი; მასობრივ-ფიზკულტურულ და სასწავლო სპორტულ დარგში — გასულ წელთან შედარებით 30 პროცენტით გაზარდონ სპორტულ ღონისძიებათა რაოდენობა, ფიზკულტურულ მუშაობაში ჩააბან რაიონის მოსახლეობის ფართო მასები; სათანადო სექციებში მიმდინარე წლის ნოემბრისათვის მოამზადონ მშთ პირველი და მეორე საფეხურის 500 ნიშნოსანი, ხოლო იმშთ 400 ნიშნოსანი; წლის ბოლოსათვის რაიონის 25 კოლმეურნეობაში მოაწყონ ქართული ჭიდაობის სექციები, მათ შორის მეჯვრისხევის, შინდისის, ატენის, ტყვიავის ზონებში და ქალაქ გორში.

გორელ ფიზკულტურელთა ვალდებულებებში აგრეთვე გათვალისწინებულია ხუთი ბრიგადის შექმნა, რომლებიც მოსახლეობაში სპორტის პოპულარიზაციას გასწევენ. ფიზკულტურელთა ძალებით ისინი მოაწყობენ 25-მდე მოედანს, სადაც გაიმართება ქართული ჭიდაობა, ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი.

ს. ყურაშვილი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

21 მილიონი მანეთი მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს

ბათუმი, (საქ. კორ.). სახელმწიფო დახმარების სახით აჭარის ასს რესპუბლიკაში მცხოვრებმა მრავალშვილიანმა და მარტოხელა დედებმა უკანასკნელ ოთხ წელიწადში 21 მილიონი მანეთი მიიღეს. ქობულეთის რაიონის სოფელ ჭახათის მცხოვრებმა კოლმეურნე ი. მჟავანაძემ, რომელსაც აღზრდილი ჰყავს 11 შვილი, 36.625 მანეთი მიიღო, ჩაქვის მცხოვრებმა ხ. ფაღავამ — 39 ათასი მანეთი, კოლმეურნეებმა ზ. ხახუტაიშვილმა, ნ. ბერიძემ — 30 ათასი მანეთი თვითეულმა.

ამჟამად სახელმწიფო დახმარებას იღებს 5 ათასამდე მრავალშვილიანი და მარტოხელა დედა. ბავშვთა ბაღებისა და სახლების, სამშობიარო სახლების, ბავშვთა დაწესებულებებისა და ქალთა კონსულტაციისათვის წელს განკუთვნილია 10.750 ათასი მანეთი.

აჭარის ასს რესპუბლიკაში 68 მრავალშვილიან დედას მიკუთვნებული აქვს „გმირი დედის" წოდება, ხოლო 4.690 მრავალშვილიანი დედა ორდენებით არის დაჯილდოებული.

დიალექტოლოგიური ექსპედიცია ხაშურის რაიონში

ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრამ ივლის-აგვისტოში მოაწყო სამეცნიერო ხასიათის ექსპედიცია ხაშურის რაიონში. ექსპედიციის მიზანი იყო ადგილობრივ ქართულ კილოსადმი დაკვირვების წარმოება და დიალექტოლოგიური მასალების შეგროვება.

ექსპედიციაში მონაწილეობდნენ დოცენტი ალ. ღლონტი (ხელმძღვანელი), დოცენტი ი. მეგრელიძე, ნ. ახალკაცი, მ. მახარაშვილი და სტუდენტები.

ექსპედიცია მუშაობდა ალში, დუმაცხოვში, მცხეთის ჯვარში, უწლევში, ნინისში, ნაბახტევში, ვაყაში, საკორეს და სხვა სოფლებში. შეგროვდა უაღრესად მდიდარი დიალექტოლოგიური და ფოლკლორული მასალა (ზღაპრები, ხალხური ლექსები, ლეგენდები, გადმოცემები, გაბმული მეტყველების ნიმუშები, ლექსიკური მასალები).

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ ლეგენდები, რომლებიც სოფელ ბრილში ჩაიწერა. ამ სოფელში მცხოვრებმა მოხუცმა კოლმეურნემ გიორგი ქართველიშვილმა ექსპედიციას უამბო საყურადღებო ლეგენდა („ბატონი ზუმბათოვის მოკვლა"), რომელიც წარმოადგენს დ. ჭონქაძის ცნობილი მოთხრობის—„სურამის ციხის"—გმირის ოსმან-აღას თავგადასავლის პროტოტიპს. ასევე საინტერესო ლეგენდებია ჩაწერილი დევის ნაფეხარის, ალის ციხის, კაჟეთისა და სხვათა შესახებ.

დიალექტოლოგიური მასალებიდან ყურადღებას იპყრობს ზემო-იმერული კილოკავისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური და მორფოლოგიური მოვლენები. ექსპედიციის მიერ შეგროვებული მასალები ცხადჰყოფენ, რომ ხაშურის რაიონის მოსახლეობის მეტყველებას, რომელიც ქართლურის დიალექტურ რაიონს განეკუთვნება, განუცდია ზემო-იმერული კილოკავის საგრძნობი გავლენა როგორც ფონეტიკა-მორფოლოგიაში, ისე სინტაქსსა და ლექსიკაში.

ექსპედიციამ გამოავლინა აგრეთვე ხალხური შემოქმედების საუკეთესო მთქმელები. ექსპედიციას დიდ დახმარებას უწევდნენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები.

ინსტიტუტის დირექციამ გადაწყვიტა ექსპედიციის მიერ შეგროვებული მასალები დამუშავების შემდეგ ცალკე კრებულად გამოსცეს.

ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოი

(დაბადების 120 წლისთავი)

ასოცი წლის წინათ იასნაია პოლიანაში, ტულის ახლოს, დაიბადა ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოი, რუსული ლიტერატურის სიამაყე, დიდი მწერალი, რომლის შემოქმედებაც მთელი კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

ორმოცი წლის წინათ „პროლეტარში" გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის სტატია: „ლევ ტოლსტოი, როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე".

ვ. ი. ლენინმა მთელ რიგ სტატიებში პირველად მოგვცა დიდი ხელოვნის შემოქმედების სწორი და სრულყოფილი შეფასება. ლენინმა ახსნა ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოის ბიოგრაფიისა და შემოქმედების მთელი სირთულე და მთელი წინააღმდეგობანი. „დაბადებითა და აღზრდით ტოლსტოი, — სწერდა ლენინი, — რუსეთის უმაღლეს მემამულე დიდკაცობას ეკუთვნის, — მან კავშირი გაწყვიტა ამ წრის ყველა ჩვეულებრივ შეხედულებასთან და თავის უკანასკნელ ნაწარმოებებში მწვავედ გააკრიტიკა ყველა თანამედროვე სახელმწიფოებრივი, საეკლესიო, საზოგადოებრივი, ეკონომიური წესები, რომლებიც ემყარებოდა მასების დამონებას, მათ სიღატაკეს, საერთოდ გლეხთა და წვრილ მეურნეთა მეურნეობის მოშლას, იმ ძალადობასა და თვალთმაქცობას, რომლებითაც თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია მთელი თანამედროვე ცხოვრება".

ტოლსტოის ნაწარმოები პირველად 1852 წელს დაიბეჭდა. „სოვრემენიკის" სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა „ბავშვობა". მისმა არაჩვეულებრივმა ნიჭმა მაშინვე მიიპყრო საყოველთაო ყურადღება. „ეს ნიჭი ეკუთვნის სიცოცხლით სავსე ახალგაზრდას, რომელსაც ჯერ კიდევ დიდი გზა ელის... ჩვენ ვწინასწარმეტყველებთ, რომ ყველაფერი, რაც გრაფმა ტოლსტოიმ ჩვენს ლიტერატურას დღემდე შესძინა, მხოლოდ საწინდარია იმისა, რასაც იგი მომავალში გააკეთებს; მაგრამ რამდენ მდიდარი და მშვენიერია ეს საწინდარი". ამ სიტყვებით თავდებოდა ნ. გ. ჩერნიშევსკის სტატია, რომელიც მან ტოლსტოის „ბავშვობისა და ყრმობის" და „ომის მოთხრობების" გარჩევას უძღვნა. ჩერნიშევსკიმ ხაზგასმით აღნიშნა ტოლსტოის განსაკუთრებული უნარი „სულის დიალექტიკის" ასახვისა. მართლაც, ტოლსტოიმდე ვერავინ შესძლო ასე ღრმად გადაეშალა ადამიანის შინასამყაროს მოძრაობა და წინააღმდეგობა. მაგრამ ტოლსტოის ნიჭის ასეთ ხასიათს სრულიადაც არ მოუწყვეტია მწერალი საზოგადოებრივი ინტერესებისა და სოციალური ბრძოლის ფართო სამყაროსათვის და არ ჩაუყენებია ინდივიდუალისტური განცდების ვიწრო სფეროში. ტოლსტოის ძლიერ განვითარებული ჰქონდა სამართლიანობისადმი მისწრაფება, რამაც განსაზღვრა მისი ინტერესი ადამიანთა კოლექტივის ცხოვრებისადმი. მწერალს აინტერესებდა ადამიანი და მისი დამოკიდებულება სოციალური სამყაროსადმი.

უშუალო დაკვირვებამ მკაფიოდ დაანახვა სევასტოპოლის დაცვის მონაწილე ტოლსტოის, რომ რუსეთის სიდიადისა და ძლიერების საფუძველია ხალხი, უბრალო რუსი ადამიანი, და არა გაბატონებული კლასები. „სევასტოპოლის მოთხრობები" სწორედ იმისადმია მიძღვნილი, თუ რა მხურვალედ უყვარს თავისი სამშობლო უბრალო რუს ადამიანს—ჯარისკაცსა და მატროსს, გლეხსა და ხელოსანს, რა მზად არის იგი შესწიროს სამშობლოს — უბრალოდ, სრულიად თავმოუწონებლად — თვით სიცოცხლე. „მთავარი, სასიხარულო რწმენა,—ამთავრებდა ტოლსტოი თავის სევასტოპოლის შთაბეჭდილებებს,—ის რწმენაა, რომ შეუძლებელია... სადაც უნდა იყოს, რუსი ხალხის ძლიერების შერყევა". რასაც სევასტოპოლის დამცველები აკეთებენ, „ისე უბრალოდ, ისეთი მცირე დაძაბულობით აკეთებენ, რომ დარწმუნებული ხართ—მათ კიდევ ასჯერ მეტი შეუძლიათ გააკეთონ... მათ შეუძლიათ ყველაფერი გააკეთონ", რადგან მათ ამოქმედებს „დიადი წამახალისებელი მიზეზი" — სამშობლოს სიყვარული.

ტოლსტოი განუდგა სოციალურ უსამართლობაზე, მასების სიღატაკესა და უმცირესობის პრივილეგიურ მდგომარეობაზე აგებულ საზოგადოებრივ ყოფას. მაგრამ ტოლსტოის მსოფლმხედველობის წინააღმდეგობამ და სისუსტემ, აღმოუფხვრელმა ცრურწმენამ, რაც იმ წრისაგან მიიღო მემკვიდრეობად, საიდანაც იგი გამოვიდა, არ დაანება მას სწორი პოზიციები დაეკავებინა სამოციანი წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ბრძოლაში. იგი ისეთი ლიბერალური ესთეტების გავლენაში მოექცა, როგორიც იყვნენ დრუჟინინი და ბოტკინი. „წმინდა ხელოვნების" თეორიის უარყოფითი გავლენა დაეტყო ლევ ტოლსტოის გენიალურ ნიჭსაც. ამ თეორიის გავლენით დაწერილი მოთხრობა „ოჯახური ბედნიერება", შეიძლება ითქვას, ყველაზე სუსტი ნაწარმოებია დიდი ხელოვნის მთელ უდიდეს მემკვიდრეობაში.

მაგრამ ექსპლოატატორული კლასის გონებაშეზღუდულ და გულზვიად იდეოლოგთა თეორიის გავლენა ტოლსტოიზე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ტოლსტოი მეტად მწვავედ განიცდიდა სოციალურ მოუწყობლობას, მას სძაგდა და სძულდა გაბატონებული საზოგადოების ყალბი მორალი. მოთხრობა „კაზაკებში" ტოლსტოიმ გამოსთქვა თავისი სიყვარული მთლიანი, ბუნებასთან ახლო მდგომი, ურთიერთ შორის საერთო შეხედულებებით, „გუნდური" ცხოვრების გრძნობით დაკავშირებული ადამიანებისადმი. მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ სახეთა სამყარო იყო. რეალურ ცხოვრებას რომ უბრუნდებოდა, ტოლსტოი კვლავ უსამართლობასა და სიცრუეს ხედავდა.

ტოლსტოიმ ზურგი შეაქცია თანამედროვეობას და მიუბრუნდა ისტორიას, ხალხს. მან დასწერა „ომი და მშვიდობა" — ნაპოლეონის შემოსევის წინააღმდეგ რუსი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის დიადი ეპოპეა.

მაღალი და თავდადებული პატრიოტიზმის უბრალო, მაგრამ ძლიერი გამოვლინება ტოლსტოიმ დაუპირისპირა იმ ადამიანთა ყალბ, მყვირალა „პატრიოტიზმს", რომელნიც მოწყვეტილი იყვნენ ხალხს, შრომას და ომით გამოწვეული უდიდესი უბედურება მხოლოდ თავიანთი კარიერის საფეხურად მიაჩნდათ. „ომსა და მშვიდობაში" მეფის კარისა და მაღალი საზოგადოების გაკრიტიკებას მეფის რუსეთის პირობებში არა მარტო ისტორიული, არამედ ფრიად აქტუალური მნიშვნელობაც ჰქონდა.

წინააღმდეგ ოფიციალური ისტორიოგრაფიისა, ტოლსტოიმ დაგვანახვა სამამულო ომი როგორც სახალხო ომი, სამშობლოსადმი სიყვარული — როგორც 1812 წლის ეპოქის ყველა პატიოსანი ადამიანის მოქმედების მთავარი მამოძრავებელი სტიმული. გენიალური ხელოვანი მიხვდა, რომ ნაპოლეონის სტრატეგია არ ითვალისწინებდა რუსების პატრიოტულ აღფრთოვანებას და ამიტომ იქცეოდა დოქტრინიორულ, შაბლონურ სტრატეგიად, რომელიც ვერ გაუძლებდა სამშობლოს დასაცავად დარაზმული ხალხის ინიციატივას. „სმოლენსკის ხანძრის შემდეგ, — სწერდა ლევ ტოლსტოი „ომსა და მშვიდობაში", — დაიწყო ომი, რომელიც არც ერთ წინანდელ ომს არ ჰგავდა. ქალაქებისა და სოფლების დაწვა, უკანდახევა ბრძოლების შემდეგ, ბოროდინოს ბრძოლა და კვლავ უკანდახევა, მოსკოვის ხანძარი, მაროდიორთა ჭერა, ტრანსპორტების წართმევა, პარტიზანული ომი—ყოველივე ეს წესების დარღვევა იყო".

ტოლსტოი, როგორც მოაზროვნე, ფატალისტი იყო, მაგრამ, როგორც ხელოვანმა, მან აღტაცებით ასახა ენერგია, სიმამაცე, ინიციატივა ხალხისა, რომელიც „განსაცდელის ჟამს როდი კითხულობს, თუ როგორ იქცეოდნენ წესების მიხედვით სხვები ასეთ შემთხვევებში, არამედ უბრალოდ და ადვილად ჰკიდებს ხელს პირველსავე კეტს და მაგრად ურტყამს...". „ომსა და მშვიდობაში" ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი კუტუზოვის სახეს უკავია. ტოლსტოის მიხედვით, კუტუზოვის სიდიადე უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ იგი, როგორც სარდალი, უერთდება ხალხის სტიქიურ წინააღმდეგობას მტრისადმი, მტკიცედ მისწრაფვის ფართო მასშტაბი და ორგანიზებულობა მისცეს ხალხის რისხვის გამოვლინებას. მაგრამ ფატალიზმის წინასწარაღებული და სრულებით მცდარი იდეის გასამართლებლად ტოლსტოი ზოგჯერ კუტუზოვს გვიხატავს არა როგორც სტრატეგს, რომელიც წარმართავს ომის ამბებს, არამედ როგორც ისეთ ადამიანს, რომელიც მხოლოდ პასიურად უყურებს, თუ რა ხდება. ამ შემთხვევებში კუტუზოვის სახე ტოლსტოის ხელში ჰკარგავს ისტორიულ და მხატვრულ დამაჯერებლობას. ყალბი და მოგონილია სახე პლატონ კარატაევისა, მისი ბედისადმი მორჩილებითა და თავმდაბლობით. თვითონ ტოლსტოიმ „ომსა და მშვიდობაში" დაგვანახვა, რომ რუსი გლეხები ნაპოლეონის სახით მოვლენილ „ბედს" კი არ დამორჩილდნენ, არამედ კეტსა და თოფს მოჰკიდეს ხელი და გამარჯვებას აღწევდნენ.

მიუხედავად იმ წინააღმდეგობისა, რაც აშკარად ჩანს რომანში, „ომი და მშვიდობა" უდიდესი მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც უმღერის რუსი ხალხის სიმამაცესა და გულადობას დიდი განსაცდელის ჟამს და შეიცავს გაბატონებული კლასების კრიტიკის ძლიერ ელემენტებს. ზოგიერთი რეაქციონერი ლიტერატორი, როგორიც იყო, მაგალითად, თავადი ვიაზემსკი, ტყუილად როდი სწერდა „ომსა და მშვიდობაზე" როგორც კრამოლურ („ანტიპატრიოტულ", როგორც ისინი ამბობდნენ) ნაწარმოებზე.

ტოლსტოის მეორე დიდი რომანი — „ანა კარენინა" — მთლიანად თანამედროვეობისადმი იყო მიძღვნილი. მართალი თხრობა ანას და კიტის, ვრონსკისა და ლევინის, ობლონსკისა და კარენინის შესახებ განუყრელად არის დაკავშირებული რეფორმისშემდგომი რუსეთის აღწერასთან, რომელშიც „ყველაფერი თავდაყირა დადგა და მხოლოდ ახლა ლაგდება". ანა კარენინას ტრაგიკული ბედი საზოგადოებრივი უსამართლობის დაუნდობელ მხილებად ხდება. თვითმპყრობელური სახელმწიფო, მაღალი საზოგადოება, გაბატონებული მორალი, თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული საზოგადოების ზნე-ჩვეულებანი — ყველაფერი სიცრუეა, ყველაფერი უზნეობაა, ყველაფერი მტრულად განწყობილია ადამიანისადმი! რომანის მთავარი გმირი ლევინი სოფელში გარბის. იგი ოცნებობს სიმართლე ჰპოვოს თავისი ოჯახის წრეში, მიწასთან და გლეხებთან ახლო მისვლით, დაიწყოს პატიოსანი ცხოვრება. მაგრამ ლევინი მემამულეა და ეს დიდ ზღუდეს აღმართავს მას და უმიწყლობით სიღატაკეში ჩავარდნილ გლეხებს შორის. ლევინსა და ხალხს შორის ნამდვილ ერთიანობას ვერ ჰქმნის და ვერც შეჰქმნის ვერც გულწრფელი ზნეობრივი ძიება, ვერც იმის მისწრაფება, რომ ფიზიკურ შრომას ეზიაროს.

ლ. ნ. ტოლსტოის მესამე დიდი რომანის „აღდგომის" გმირი ნეხლიუდოვი გადაჭრით სწყვეტს კავშირს დიდკაცურ ექსპლოატატორულ წრესთან. იგი მიწას გლეხებს აძლევს, სტოვებს იმ ადამიანებს, რომელთაც ეკუთვნოდა დაბადებითა და აღზრდით, „უბრალოვდება" და თავისი შრომით ცხოვრებას აპირებს. ამ ნაწარმოების მამხილებელი ძალა უაღრესად დიდ დაძაბულობას აღწევს. ექსპლოატატორული საზოგადოების მოზეიმე ბოროტება, ბატონთა თვალთმაქცობა, ფარისევლობა და სისასტიკე, მშრომელთა ტანჯვა რომანში ნაჩვენებია სრულიად დაუფარავად.

მაგრამ ნეხლიუდოვი, რომელიც ტოლსტოის შეხედულებებს ასახავს, ფიქრობს, რომ ბოროტების მოსპობის საშუალება მასების რევოლუციური ბრძოლა კი არ არის, არამედ პირადი ზნეობრივი თვითსრულყოფა, რელიგიური გრძნობა და ბოროტების წინააღმდეგ ძალადობის გამოუყენებლობა. საზოგადოებრივი უსამართლობის მხილება და მისი გამოსწორების პროგრამა ტოლსტოის ნაწერებში მკვეთრად ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

ტოლსტოის ცხოვრების, შემოქმედებისა და მოძღვრების აშკარა წინააღმდეგობანი ვ. ი. ლენინმა ახსნა თვით იმდროინდელი სინამდვილის, თვით იმ ეპოქის აშკარა წინააღმდეგობებით, კარზე მომდგარი კაპიტალიზმის წინააღმდეგ გლეხთა პროტესტის ხასიათით. „ტოლსტოი სასაცილოა, როგორც წინასწარმეტყველი, რომელმაც კაცობრიობის ხსნის ახალი რეცეპტები აღმოაჩინა,—და ამიტომ ყოვლად უბადრუკი არიან საზღვარგარეთელი და რუსი „ტოლსტოელები", რომლებმაც მოისურვეს დოგმად გაეხადათ მისი მოძღვრების სწორედ ყველაზე სუსტი მხარე. ტოლსტოი დიადია, როგორც იმ იდეათა და განწყობილებათა გამომხატველი, რომლებიც მილიონო-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ალბანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის დეპეშაზე

ტირანა, 6 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ალბანეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, ალბანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო თავის პასუხში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ტრიუგვე ლის დეპეშაზე ალბანეთის მთავრობისათვის ათენის მთავრობის მიერ წაყენებულ ბრალდებათა გამო, სწერს:

ეს ბრალდებანი და ცილისწამება იმისაკენ არის მიმართული, რომ „დაჰფარონ უხეში და დანაშაულებრივი აქტები, რაც ათენის მთავრობამ ჩაიდინა ალბანეთის სახელმწიფოს და ალბანელი ხალხის წინააღმდეგ, აგრეთვე სხვა მეზობელი დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ, შენიღბონ დანაშაულებანი და მკვლელობანი, რასაც ათენის მთავრობა და მისი დამხმარე ინგლისელები და ამერიკელები, რომელნიც პასუხს აგებენ საბერძნეთში გაჩაღებული სამოქალაქო ომისათვის, ახორციელებენ შინაური უღლისაგან და ინგლისელ და ამერიკელ ოკუპანტთაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლი თავისუფლებისმოყვარე და დემოკრატი ბერძენი ხალხის წინააღმდეგ“. ეს პოლიტიკა მოწმობს, ნათქვამია ალბანეთის მთავრობის პასუხში, რომ „ათენის მთავრობა და ისინი, ვინც მას მხარს უჭერს, არ იცავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დიად პრინციპებს, ცდილობენ რა დაარღვიონ მთელი მსოფლიოს მშვიდობა და მყუდროება.

პირიქით, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა კვლავ ერთგულად იცავს ამა თუ იმ ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს და კვლავ მშვიდობისმოყვარე და კეთილმეზობლურ პოლიტიკას ეწევა ყველა მეზობელი ქვეყნის მიმართ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნების შესაბამისად მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად. ალბანეთის მთავრობას საბერძნეთში წარმოებული სამოქალაქო ომი ბერძენი ხალხის შინაურ საქმედ მიაჩნია, რაც თვითონ ბერძენმა ხალხმა უნდა მოაგვაროს. ამიტომ მას არავითარი საფუძველი არ მოეპოვება რაიმე შემწეობა და დახმარება გაუწიოს საბერძნეთის დემოკრატიულ ძალებს... ალბანეთის მთავრობა აუწყებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ სამდივნოს, ნათქვამია შემდეგ პასუხში, რომ, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, ალბანეთის მთავრობამ უარი არა სთქვა მიეღო ბერძენი ბავშვები, ქალები და მოხუცები, რომლებიც იტანჯებიან ტერორით, მასობრივი მკვლელობითა და ათენის მთავრობის მხრივ დევნით. ალბანეთის მთავრობა იმ აზრისაა, რომ ამ ლტოლვილთათვის თავშესაფარის მიცემა ყოველი ცივილიზებული ხალხისა და ყოველი ცივილიზებული სახელმწიფოს მოვალეობაა. ამიტომ ალბანეთის მთავრობამ აშკარად განაცხადა, თუ რა პოზიციას ადგას ამ ლტოლვილების მიმართ. რაც შეეხება სხვა შემთხვევებს, როცა საბერძნეთის შეიარაღებულმა ქვეშევრდომებმა ალბანეთის საზღვარი გადმოლახეს, ხმარებულ იქნა საჭირო ღონისძიებანი მათი განიარაღებისა და ინტერნირებისათვის, ამასთან პრესამ გამოაქვეყნა, თუ რა ღონისძიებანი იქნა განხორციელებული, და ეს ეცნობა აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ სამდივნოს. ყოველივე ეს ცხადჰყოფს, თუ რამდენად ყალბია ბრალდება, რასაც ათენის მთავრობა ალბანეთის მთავრობას უყენებს, რათა გაამართლოს თავისი აგრესიული პროვოკაციული პოლიტიკა ალბანეთის მიმართ. ალბანეთის მთავრობა ტრიუგვე ლის დეპეშის პასუხში აღნიშნავს, რომ იგი უარჰყოფს ბრალდებას, თითქოს ალბანეთი დახმარებას უწევდეს საბერძნეთის დემოკრატიულ ძალებს.

ალბანეთის მთავრობა თავის პასუხში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური სამდივნოს ყურადღებას მიაპყრობს საბერძნეთის მთავრობის განუწყვეტელ პროვოკაციებს, რომლებიც ალბანეთის სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და მთლიანობის დარღვევას წარმოადგენენ, ალბანეთის საზღვარზე ათენის მთავრობის შეიარაღებული ძალების კონცენტრაციას, ათენის პრესისა და საბერძნეთის ოფიციალურ პირთა მხრივ წაქეზებას, რომ საბერძნეთის ჯარები ალბანეთის ტერიტორიაზე შეიჭრან, რათა განახორციელონ ათენის მთავრობის უსაფუძვლო ექსპანსიონისტური პრეტენზიები, და დასასრულ აღნიშნავს: „მთელი ეს მტრული აქტები, რაც ათენის მთავრობამ ამ უკანასკნელ ხანს ალბანეთის წინააღმდეგ განახორციელა, აგრეთვე ათენის მთავრობის წარმომადგენელთა განცხადებანი, რომლების თანახმადაც ათენის მთავრობა თითქოს მზად არის ალბანეთთან დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობა, დასდოს თავდაუსხმელობის, ჩაურევლობისა და არბიტრაჟის ან სავაჭრო ურთიერთობის ხელშეკრულება, მხოლოდ მანევრს წარმოადგენს იმ მიზნით, რომ მოატყუონ საზოგადოებრივი აზრი და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რადგან ათენის მთავრობის ჭეშმარიტი პოზიცია, რომელსაც მხარს უჭერენ ინგლისელი და ამერიკელი ოკუპანტები, და მთელი ზემოთ მოყვანილი ფაქტები მოწმობენ, რომ ათენის მთავრობა ისეთი მდგომარეობის შექმნას ამზადებს, რომელსაც მავნე შედეგი მოჰყვება მშვიდობის საქმისათვის.

მდგომარეობა საფრანგეთში

პარიზი, 6 სექტემბერი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, ქალაქ რუბეს საფეიქრო საწარმოთა 40 ათასმა მუშამ 24-საათიანი გაფიცვის შემდეგ მიაღწია იმას, რომ მეწარმენი დათანხმდნენ გაადიდონ ხელფასი. ამავე დროს კვლავ მოდის ცნობები, რომ მშრომელნი ურთიერთშორის ახალ შეთანხმებებს აღწევენ ხელფასის გადასინჯვისა და დემოკრატიული ერთიანობის მთავრობის შექმნის საკითხში თავიანთ მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის ბრძოლაში.

მემარჯვენე გაზეთები აღნიშნავენ, რომ მთავრობის კრიზისმა ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკის შეერთებულ შტატებში. გაზეთი „ეპოკი“ შიშს გამოსთქვამს, რომ საფრანგეთის საშინაო ვითარებამ შეიძლება სერიოზული გავლენა მოახდინოს „მარშალის გეგმის“ გამოყენებაზე საფრანგეთში. გაზეთს საეჭვოდ მიაჩნია, რომ შუმანის ახალმა კოალიციურმა მთავრობამ, თუნდაც პარლამენტის მიერ დამტკიცებულ საგანგებო რწმუნებათა საშუალებით, შესძლოს „რეინოს გეგმის“ განხორციელება, რომელიც მიმართულია საფრანგეთში „მარშალის გეგმის“ გამოყენებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნისაკენ.

თითქმის ყველა გაზეთი საეჭვოდ სთვლის ახალი კოალიციური მთავრობის სიმტკიცეს.

იზერის დეპარტამენტის მობინადრეთა ფედერაციამ 8 ათასი ოჯახის სახელით წერილით მიმართა რესპუბლიკის პრეზიდენტს და დემოკრატიული ერთიანობის მთავრობის შედგენა მოითხოვა. ასეთივე მოთხოვნებით გამოვიდნენ ლოს და გარონის დეპარტამენტის დემოკრატიული ორგანიზაციები. შრომის საყოველთაო კონფედერაციის პროფკავშირული ორგანიზაციები, საფრანგეთის ქრისტიან მშრომელთა კონფედერაცია და „ფორს უვრიერი“ ვენსან ორიოლისათვის გაგზავნილ წერილში მოითხოვენ ისეთი მთავრობის შედგენას, რომელიც მშრომელთა წარმომადგენელი იქნებოდა და ისეთ ეკონომიურ პოლიტიკას გაატარებდა, რაც უზრუნველჰყოფდა მშრომელთა მსყიდველობით უნარს, ხელფასის გადასინჯვას, ფასების სტაბილიზაციასა და დაკლებას.

რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს დემოკრატიული ერთიანობის მთავრობის შედგენას, მიიღეს ქალაქ სალომეს შრომის საყოველთაო კონფედერაციის, საფრანგეთის ქრისტიან მშრომელთა კონფედერაციისა და „ფორს უვრიერის“ წევრმა მეშახტეებმა, საფრანგეთის რესპუბლიკური ახალგაზრდობის კავშირის ეროვნულმა კომიტეტმა, სენისა და უაზის დეპარტამენტების ფაშიზმის მსხვერპლთა ოჯახებმა, საფრანგეთის ავიაციის დაცვის ეროვნულმა კომიტეტმა და სხვ.

ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოი

(დასასრული)

ბით რუს გლეხს შეუმუშავდა რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუციის დროისათვის... ამ თვალსაზრისით ტოლსტოის შეხედულებებში არსებული წინააღმდეგობანი,—იმ ურთიერთსაწინააღმდეგო პირობების ნამდვილი სარკეა, რომლებშიც ჩაყენებული იყო გლეხობის ისტორიული საქმიანობა ჩვენს რევოლუციაში“.

გლეხობაში საუკუნეობრივი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის მანძილზე დიდი რევოლუციური სიძულვილი და მტკიცე თავგანწირულება დაგროვდა. გლეხობა ცდილობდა სრულებით აღეგავა პირისაგან მიწისა მეფის სახელმწიფო, მემამულური მიწათმფლობელობა. ტოლსტოის ულმობელი კრიტიკა ასახავდა გლეხთა მოძრაობის სწორედ ამ, რევოლუციურ მხარეს. მაგრამ მეორე მხრივ, მონობისა და უმეცრების საუკუნეებს ის მოჰყვა, რომ გარკვეულ დრომდე გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ განიმსჭვალა რევოლუციური სულისკვეთებით; ტოლსტოელობა, როგორც ბოროტების წინააღმდეგ ძალადობის გამოუყენებლობის მოძღვრება საუკუნეობით დაბეჩავებული გლეხობის ამ ჩამორჩენილ შეხედულებებს ასახავდა. ლენინი ტოლსტოის რუსეთის პირველი რევოლუციის ძალისა და სისუსტის სარკეს უწოდებდა.

ლევ ტოლსტოი თავისი თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი ხელოვანია. ცნობილია ტოლსტოის შესახებ ლენინისა და გორკის საუბრის ჩანაწერი. ლენინი, როგორც გორკი მოგვითხრობს, ამბობდა:

„რა სალი კლდეა! რა ბუმბერაზი ადამიანია! აი, ჩემო ძმაო, ხელოვანი... იცით, კიდევ რა არის განსაცვიფრებელი? ამ გრაფამდე ლიტერატურაში ნამდვილი გლეხი არა გვყოლია.

შემდეგ თვალები მოჭუტა და იკითხა:—აბა ევროპაში ვინ შეიძლება გვერდით დავუყენოთ მას?

და თვითონვე უპასუხა:

— არავინ!

და ხელის ფშვნეტით გაიცინა კმაყოფილმა“.

ტოლსტოის შემოქმედების მსოფლიო მნიშვნელობა განუყრელად არის დაკავშირებული რუსი ხალხის მსოფლიო-ისტორიულ როლთან. ტოლსტოი თავისი სამშობლოს დიდი შვილი იყო. მან შესძლო აესახა თავისუფლებისა და სიმართლისმოყვარე ხალხის პატრიოტიზმი, იდეური და ზნეობრივი სიდიადე.

რომენ როლანი ამბობდა: „ის დღეები, როცა ტოლსტოის ნაწარმოებები გავიცანი, არასოდეს არ წარიხოცება ჩემს მეხსიერებაში... ჩვენს თვალწინ გადაიშალა შემოქმედება დიადი ცხოვრებისა, რომელშიც აისახა მთელი ხალხი, მთელი ახალი სამყაროც კი... ასეთი ხმა ჯერ არასოდეს სმენია ევროპას“.

და, მართლაც, ასე იყო. ტოლსტოის შემოქმედება რუსეთის მოახლოებული რევოლუციის გარიჟრაჟის შუქს ასახავდა. ჯერ ასეთი ხმა მთელ მსოფლიოს არ სმენია, იმიტომ, რომ არც ერთ ხალხს არ მოუხდენია ისეთი ღრმა, ისეთი სამართლიანი გარდაქმნა, როგორიც რუსმა ხალხმა მოახდინა.

38 წელი გავიდა ტოლსტოის სიკვდილის შემდეგ, მაგრამ მის ქმნილებათა ძალა და მშვენიერება უჭკნობია. სწორედ ჩვენს დროს, საბჭოთა ეპოქაში, ხალხი განსაკუთრებული სიყვარულით სცემს პატივს მის ხსოვნას, მიმართავს მის ნაწარმოებთა უკვდავ ფურცლებს.

დიდი რუსი ერის საამაყო შვილთა ბრწყინვალე სახელებს შორის არასოდეს არ დაჭკნება ბუმბერაზი მწერლის სახელი. ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოის ქმნილებანი მარად იცოცხლებენ.

ვ. კირპოტინი

ბ. ბერუტი პოლონეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩიეს

ვარშავა, 6 სექტემბერი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა პოლონეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის კომუნიკე პოლონეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობის შესახებ.

პლენუმმა მოისმინა ბოლესლავ ბერუტის მოხსენება—„მემარჯვენე და ნაციონალისტური გადახრა პარტიის ხელმძღვანელობაში და მისი დაძლევის ხერხი“. მოხსენების გამო დისკუსია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 38 ორატორმა. დისკუსიის შედეგად ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია. რეზოლუციის მიღებამდე ვლადისლავ გომულკა (ვესლავი) სავსებით დაეთანხმა მის შინაარსს და გამოვიდა თვითკრიტიკით, რომელიც არსებითად მიმართულია მისი წინანდელი ძირფესვიანად მცდარი პოზიციის გადასინჯვისაკენ.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა გ. მინცის მოხსენება—„პარტიის მიმდინარე ამოცანები სოფლად ეკონომიური და სოციალური პოლიტიკის დარგში“. დისკუსიის შემდეგ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია ამ საკითხზე.

პოლონეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება პოლონეთის მუშათა პარტიის გენერალური მდივნის მოვალეობისაგან ვლადისლავ გომულკას (ვესლავის) განთავისუფლების შესახებ და პოლონეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე ერთხმად აირჩია ბოლესლავ ბერუტი.

იაპონელი მუშები განაგრძობენ ბრძოლას თავიანთი უფლებებისათვის

ტოკიო, 6 სექტემბერი. (საკდესი). მიუხედავად მთავრობის ბრძანებულებისა გაფიცვათა აკრძალვის შესახებ და მასობრივი დაპატიმრებებისა, იაპონელი მუშები მთელ იაპონიაში განაგრძობენ ბრძოლას თავიანთი უფლებებისათვის. გაზეთ „აკაჰატას“ ცნობით, მთავრობის დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებისა და სხვა მშრომელების წინააღმდეგ პოლიციის რეპრესიებმა იაპონიის მუშათა მოძრაობის ისტორიაში უმაგალითო მასშტაბი მიიღო. მარტო აგვისტოში ხელისუფლებმა გასცეს 1.007 ორდერი დემოკრატიული უფლებებისათვის ბრძოლის მონაწილე მუშათა და გლეხთა დასაპატიმრებლად. პოლიციის რეპრესიებს თან სდევს მუშების მასობრივი დათხოვნა და გაფიცვებში მონაწილეთა სამართალში მიცემა. როგორც გაზეთი „ასახი“ იუწყებოდა, 3 სექტემბერს სახელმწიფო რკინიგზების მარტო საპოროს (ჰოკაიდო) სამმართველომ დაითხოვა 399 მუშა და მოსამსახურე და სამართალში მისცა 660 კაცი.

მიუხედავად ამისა, სახელმწიფო რკინიგზების მუშა-მოსამსახურეთა და კავშირგაბმულობის მუშაკთა საგაფიცვო მოძრაობა სულ უფრო ფართოვდება და იაპონიის ახალ რაიონებს ედება.

ბრძოლა, კერძოდ, ახალი ძალით გაჩაღდა კუნძულ კიუსიუზე, სადაც, რკინიგზების მუშებს გარდა, მუშაობა შესწყვიტეს კავშირგაბმულობის მუშაკებმა და გაფიცვისათვის ემზადებიან მეტალურგები და მეშახტეები.

კავშირგაბმულობის მუშაკთა სრულიად იაპონიის პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება—არაკონსტიტუციონურად ჩასთვალოს მთავრობის ბრძანებულება და მაქსიმალური დახმარება გაუწიოს გაფიცულ მუშებს და მოსამსახურეებს. ელექტროსადგურების მუშათა პროფკავშირი, მიუხედავად მაკარტურის შტაბის წარმომადგენლის ჰეპლერის ბრძანებისა გაფიცვის აკრძალვის შესახებ, ამზადებს ახალ ბრძოლას მთავრობის დაწესებულებათა მუშაკებთან სოლიდარობის ნიშნად.

საბჭოთა სარდლობამ ავსტრიის ხელისუფლებს გადასცა მხატვრული ფასეულობანი

ვენა, 5 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ქალაქ კრემსში (ქვემო ავსტრია) საბჭოთა სარდლობის წარმომადგენლებმა ქალაქის თემს გადასცეს კულტურული და რელიგიური ფასეულობანი, რომლებიც ყოფილი გერმანელი თავადის რატიბორის მამულში ინახებოდა.

ჰიტლერელთა ბატონობის პერიოდში სს-ს ნაწილებმა, რომლებიც ამ მამულში იყვნენ განლაგებულნი, აქედან გერმანიაში გაიტანეს ბევრი კულტურული ფასეულობანი. 1945 წლის აპრილში შეტევაზე გადასულმა საბჭოთა არმიის ნაწილებმა მოსპობისა და გატანისაგან გადაარჩინეს ამ საგანთა ძირითადი მასა.

ავსტრიაში სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის გენერალ-პოლკოვნიკ კურასოვის ბრძანებით, კრემსის საბჭოთა კომენდანტმა ადგილობრივ ხელისუფალთ გადასცა ავსტრიის ოსტატთა მიერ შესრულებული XV და XVI საუკუნეების ლიტერატურული ნაწარმოებნი და მხატვრული უნიკუმები, რომლებიც ავსტრიის კულტურის ძვირფას განძს წარმოადგენენ.

გადაცემის აქტის ხელისმოწერის შემდეგ ქალაქ კრემსის წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს საბჭოთა არმიის სარდლობას ასეთი სულგრძელობისათვის.

ამერიკის წარმომადგენელთა უხეში მანევრები იაპონიისათვის შექმნილ სამოკავშირო საბჭოში

ტოკიო, 4 სექტემბერი. (საკდესი). გენერალ მაკარტურის წერილმა პრემიერ-მინისტრ ასიდასადმი და ამის შემდეგ იაპონიის მთავრობის ბრძანებულებამ სახელმწიფო საწარმოთა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების გაფიცვებისა და კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების აკრძალვის შესახებ იაპონიის მშრომელთა მასების დიდი პროტესტები და მსოფლიო დემოკრატიული საზოგადოებრიობის კრიტიკა გამოიწვია. ამერიკელ და იაპონელ ხელისუფალთა მიერ მუშებისა და მოსამსახურეების წინააღმდეგ რეპრესიების მიუხედავად, საგაფიცვო მოძრაობამ მოიცვა იაპონიის მრეწველობისა და ტრანსპორტის ბევრი სხვადასხვა დარგი. ორგანიზებული იაპონელი მუშები სამართლიანად ხედავენ მაკარტურის შტაბისა და იაპონიის მთავრობის ანტიდემოკრატიულ მოქმედებაში იაპონიის პროფკავშირების ძირითად უფლებათა უხეშ ხელყოფას, რომლებიც გარანტირებულია პოტსდამის დეკლარაციითა და შორეული აღმოსავლეთის კომისიის გადაწყვეტილებებით.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, სსრ კავშირის წარმომადგენელმა იაპონიისათვის შექმნილ სამოკავშირეო საბჭოში გენერალმა კისლენკომ მოითხოვა გენერალ მაკარტურის დირექტივისა და იაპონიის მთავრობის ბრძანებულების შეცვლა, აგრეთვე იაპონიის მშრომელთა წინააღმდეგ რეპრესიების შეწყვეტა. საბჭოთა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მაკარტურის დირექტივა და იაპონიის მთავრობის ღონისძიებები ეწინააღმდეგება შორეული აღმოსავლეთის კომისიის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს და მიმართულია იაპონიის დემოკრატიზაციის ჩაშლისაკენ.

იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა მსოფლიო საზოგადოებრიობის აზრის კრიტიკა მაკარტურის შტაბის ანტიდემოკრატიული მოქმედების გამო, ამერიკის წარმომადგენელმა იაპონიისათვის შექმნლ სამოკავშირეო საბჭოში სებოლდმა ამ დღეებში განაცხადა, რომ „მაკარტურის წერილი დირექტივა კი არ არის, არამედ მხოლოდ „რეკომენდაციაა“ და ამიტომ იაპონიის მთავრობას შეუძლია განიხილოს თავისი ღონისძიებანი ამ წერილისაგან დამოუკიდებლად“; ამრიგად, სებოლდი ცდილობდა მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრებინა ასიდას კაბინეტისათვის. მაგრამ, მაკარტურის პოლიტიკური მრჩევლის სებოლდის ასეთი „განმარტების“ მიუხედავად, იაპონიის მთავრობა კვლავ აცხადებს, რომ იგი მაკარტურის წერილს იხილავს, როგორც დირექტივას, და მოქმედებს ამ დირექტივის შესაბამისად. ასიდას კაბინეტმა მხოლოდ გუშინ გამოსცა სპეციალური კომუნიკე, რომელშიც კვლავ ხაზგასმულია თავისი ანტიდემოკრატიული ბრძანებულების „კონსტიტუციურობა“.

იაპონიის მუშათა ორგანიზაციები კვლავ მოითხოვენ მთავრობის ბრძანებულების შეცვლასა და მუშათა წინააღმდეგ რეპრესიების შეწყვეტას. როგორც გაზეთი „აკაჰატა“ იუწყება, სახელმწიფო რკინიგზის მუშათა პროფკავშირის გაფიცვა ვრცელდება კუნძულ კიუსიუზე და მას საერთო ეროვნული ხასიათი ეძლევა. საფოსტო განყოფილების მუშაკთა გაფიცვა ხიტაცში საყოველთაო გაფიცვად გადაიქცა. საგაფიცვო მოძრაობა მოედო აგრეთვე ელექტრომრეწველობის მუშათა სრულიად იაპონიის კავშირს, რკინისა და ფოლადის ჩამომსხმელი მრეწველობის მუშათა სრულიად იაპონიის კავშირს, ტრანსპორტის მუშების სრულიად იაპონიის კავშირსა და სხვა.

გაზეთი აღნიშნავს, რომ იაპონიის უდიდესი პროფკავშირები მთლიანად მხარს უჭერენ იაპონიისათვის შემნილ სამოკავშირო საბჭოში საბჭოთა წარმომადგენლის განცხადებას და მოითხოვენ მაკარტურის წერილისა და იაპონიის მთავრობის ბრძანებულების საკითხის განხილვას შორეული აღმოსავლეთის კომისიაში.

საგაფიცვო მოძრაობა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 7 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში ათასობით მუშაა გაფიცული. 5 დღის წინათ ნიუ-იორკში გაფიცვა გამოაცხადა და ხელფასის გადიდება მოითხოვა საბარგო მანქანის 10 ათასმა შოფერმა. ზოგიერთი გაზეთი ცდილობს საყოველთაო პანიკა გამოიწვიოს გაფიცვის ჩასაშლელად და აცხადებს, რომ გაფიცვა საფრთხეს უქმნის ნიუ-იორკის სურსათით მომარაგებას.

საწარმოო პროფკავშირთა კონგრესსა და ამერიკის შრომის ფედერაციაში შემავალმა 16 ათასმა მუშამ 4 სექტემბერს გაფიცვა გამოაცხადა და მუშაობა შესწყვიტა კალიფორნიის ყველა ნავთსაწმენდ ქარხანაში, რომლებიც იძლევა გაზოლინისა და ნავთპროდუქტების 95 პროცენტს დასავლეთი სანაპიროს მთელი რაიონისათვის. გაფიცვის მონაწილენი მოითხოვენ ერთი საათის ხელფასის 22 ცენტით გადიდებას, კომპანიები კი თანახმანი არიან მხოლოდ 12,5 ცენტით გაადიდონ ხელფასი.

გრძელდება მტვირთავთა გაფიცვა წყნარი ოკეანის სანაპიროზე, ამასთან ხელისუფალნი იმუქრებიან არმიის ძალებით ჩაახშონ გაფიცვა.

საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში შემავალი ნავსადგურის მტვირთავთა პროფკავშირის 12.000 წევრმა გაფიცვა გამოაცხადა ხუთი დღის წინათ. 120-მდე გემი რეისებს ველარ აკეთებს და 16.000 მეზღვაური არ მუშაობს. გემთმფლობელები უარს ამბობენ მოლაპარაკებაზე და განაცხადეს, რომ მოლაპარაკებას არ განაახლებენ, სანამ საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ლიდერები ტაფტ-ჰარტლის კანონის შესაბამისად ხელს არ მოაწერენ განცხადებას იმის შესახებ, რომ ისინი კომუნისტები არ არიან.

საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში შემავალი ნავსადგურის მტვირთავთა პროფკავშირის თავმჯდომარემ ბრიჯესმა წარსულ კვირას განაცხადა, ბოლომდე ვიბრძოლებთო და სთქვა, რომ გაფიცვა გაგრძელდება 4-6 თვეს მუშების სრულ გამარჯვებამდე.

ამერიკის სამხედრო მიწოდებანი ირანისადმი

თეირანი, 6 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთ „დადის“ ცნობით, ამერიკული შეიარაღების პირველ ტრანსპორტს გარდა, რომელსაც ამჟამად მოელიან ირანის ნავსადგურ ბენდერ-შახპურში, ამერიკის ნავსადგურ ბალტიმორში ემზადებიან სამხედრო მასალით კიდევ ერთი დიდი სატრანსპორტო გემის დასატვირთავად, რომელიც ირანმა ამერიკისაგან შეიძინა. გარდა ამისა, სამხედრო საჭურვლით მალე დაიტვირთება ორი სხვა გემი, რომელთა აგება ირანისათვის მთავრდება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ცეკვის ოსტატები

ხუთ სექტემბერს ფინეთსა და დანიაში საგასტროლო მოგზაურობიდან თბილისში დაბრუნდა საქართველოს სსრ ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით.

ანსამბლმა მიმდინარე წლის მაისში დიდი წარმატებით ჩაატარა გასტროლები მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზში და ერმიტაჟში.

საბჭოთა კავშირ—ფინეთის კულტურული კავშირის საზოგადოების მიწვევით ანსამბლი გაემგზავრა ფინეთში, სადაც დაჰყო ორი თვეს. პირველი კონცერტი გაიმართა ჰელსინკის უდიდეს საკონცერტო დარბაზში „მესუხალაში“, რომელიც 8 ათას მაყურებელს იტევს.

ფინეთში ყოფნის დროს ჰელსინკის გარდა ანსამბლმა კონცერტები გამართა ქალაქებში — პოკალაში, ოულუში, ტურკუში, კუოპიოში, ლახტში, პორსა და 22 სხვა ქალაქში, მათ შორის ერთი უფასო კონცერტი დაბა რუკის ხეტყის ქარხნის მუშებისათვის.

ფინეთიდან ანსამბლი გაემგზავრა დანიაში. კოპენჰაგენში ჩასვლის დღესვე საბჭოთა საელჩოში მოეწყო პრესკონფერენცია, რომელსაც დაესწრო 50 ქვეყნის კორესპონდენტები და ფოტორეპორტიორები. პრეს-კონფერენციაზე გულთბილი მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა დანია-საბჭოთა კავშირის კულტურული კავშირის საზოგადოების თავმჯდომარე პროფესორი ა. ოლსენი.

დანიაში გაიმართა 25 კონცერტი. კოპენჰაგენში პირველი კონცერტი შესდგა 5 აგვისტოს, უდიდეს ღია თეატრ „ბელჰოიში“, სადაც დაესწრო ოთხი ათასზე მეტი მაყურებელი, მათ შორის დანიელი ცნობილი მწერალი მარტინ ანდერსენ ნექსე.

დღის საათებში ანსამბლმა გამართა რამდენიმე უფასო კონცერტი გემსაშენი ქარხნის, რკინიგზის სარემონტო სახელოსნოსა და ლუდის უდიდესი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთათვის.

მეტად საგულისხმო იყო ანსამბლის გამოსვლა კოპენჰაგენის სპორტდარბაზ „კოჰალეში“, სადაც კონცერტის დასასრულს ხუთი ათასი აღფრთოვანებული მაყურებლის წინაშე მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა დანია—საბჭოთა კავშირის კულტურული კავშირის საზოგადოების გენერალურმა მდივანმა ბენსონმა. თავისი სიტყვა მან ასე დაამთავრა: — ზოგიერთი ქვეყნები ჩვენ ტანკებსა და მფრინავ სიმაგრეებს გვიგზავნიან და პირფერული ღიმილით მეგობრობას გვეფიცებიან, მაგრამ არის ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, რომელმაც ჩვენ გამოგვიგზავნა სიცოცხლითა და სიხარულით სავსე ჭაბუკები, ქართული ხალხური ცეკვების ვირტუოზული ოსტატები.

ორივე ქვეყნის ყველა მიმართულების გაზეთები ერთხმად აღნიშნავდნენ ქართული ცეკვების სიდიადეს. როგორც ფინეთში, ისე დანიაში მაყურებელზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვეს შემდეგმა ცეკვებმა: „ქართულმა“, „მხედრულმა“, „ხორუმმა“, სვანურმა, „ცერულმა“, „ჯეირანმა“, „სამაიამ“ და „კინტაურმა“.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ორივე ქვეყანაში ანსამბლის ყოფნის დროს იგრძნობოდა საბჭოთა კავშირისა და მისი კულტურისადმი დიდი ინტერესი, ყველგან გაისმოდა ხალხის მოწოდება საბჭოთა კავშირთან მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

სურათზე: საქართველოს სსრ ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მონაწილენი მიემგზავრებიან ჰელსინკიდან კოპენჰაგენში გემ „არიადნათი“. მარცხნიდან მარჯვნივ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის წარმომადგენელი გუხევი, თ. ციციშვილი, ი. სუხიშვილი, ნ. რამიშვილი, ვ. კალანდაძე, შ. ხუბიერაშვილი, ვ. მერაბიშვილი და მ. ფირცხალაიშვილი.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავისი 1948 წლის 3 სექტემბრის ბრძანებულებით დაამტკიცა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება და აფხაზეთის ასსრ შემდეგ სასოფლო საბჭოებსა და სოფლებს უწოდა:

ოჩამჩირის რაიონში: სომხური ათარას სასოფლო საბჭოს სოფელ ასარრიმვას—სოფელი მეორე ათარა, ხოლო სომხური ათარას სასოფლო საბჭოს — მეორე ათარას სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ მეორე ათარაში; აფხაზური ათარას სასოფლო საბჭოს სოფელ ნაბჟოუს — სოფელი ათარა, ხოლო აფხაზური ათარას სასოფლო საბჭოს— ათარას სასოფლო საბჭო; მეორე ათარას სასოფლო საბჭოს სოფელ სომხურ ნაას — სოფელი ნაა; მეორე ათარას სასოფლო საბჭოს სოფელ კირქლუქს — სოფელი ოთორონჯია.

გულრიფშის რაიონში: აზანთის სასოფლო საბჭოს სოფელ სულის — სოფელი კირნათი; აზანთის სასოფლო საბჭოს სოფელ ქვემო ფუნდუკლუკს— სოფელი ქვემო თხილოვანი; აზანთის სასოფლო საბჭოს სოფელ ზემოფუნდუკლუკს — სოფელი ზემო თხილოვანი; კოდორის სასოფლო საბჭოს სოფელ ესტონკას — სოფელი ბაღნაშენი; ხევის სასოფლო საბჭოს სოფელ ასლანგი-არს — სოფელი მთიანი; ხევის სასოფლო საბჭოს სოფელ კრასნიცკოეს — სოფელი ცაცხვნარი; ხევის სასოფლო საბჭოს სოფელ დიდ კრაევიჩს — სოფელი შუამთა; ხევის სასოფლო საბჭოს სოფელ დანძუთს — სოფელი კაკლიანი; ლათის სასოფლო საბჭოს სოფელ ჩემბერგს — სოფელი კადარი; ლათის სასოფლო საბჭოს სოფელ ხიზარუხას — სოფელი ნეძონა; ლათის სასოფლო საბჭოს სოფელ ზემო ბებუთოვკას — სოფელი ზენობანი; ლათის სასოფლო საბჭოს სოფელ ქვემო ბებუთოვკას — სოფელი ქვენობანი; განახლების სასოფლო საბჭოს სოფელ ნიკოლაევკას — სოფელი ჭალა; განახლების სასოფლო საბჭოს სოფელ სომხურ ნაას — სოფელი ნაა; ოქტომბრის სასოფლო საბჭოს სოფელ ქართულ პოლტავას — სოფელი მარანი; ოქტომბრის სასოფლო საბჭოს სოფელ პოლტავო-კელასურს — სოფელი კელასური; წებელდის სასოფლო საბჭოს სოფელ ქვემო ლემსას — სოფელი ქვემო-წყარო; წებელდის სასოფლო საბჭოს სოფელ ზამაისკოეს — სოფელი მაისი; წებელდის სასოფლო საბჭოს სოფელ პატარა კრაევიჩს — სოფელი წითლოვანი; წებელდის სასოფლო საბჭოს სოფელ ბოგაზს — სოფელი ველი; წებელდის სასოფლო საბჭოს სოფელ კავაქლუქს — სოფელი ოჰანდარე.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

დედა აფთონა (ანტონინა) გაბრიჩიძე, რძალი მარო მაჭავარიანი იუწყებიან **ალექსანდრა (საშა) ჭყონიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9-IX, 8 ს. გამოსვენება 10-IX, 6 ს. ბროსეს, 4. დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე.

შვილი რაისა იუწყება **პეტრე ალექსანდრეს-ძე მარტინოვის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-IX, 7 ს. გამოსვენება 11-IX, 6 ს. საბჭოს, 82.

ვ. ჭიპაშვილი, ვ. მამალაძე, დ. საყვარელიძე, ქ. ანთაძე, ო. გრძელიძე, ბ. სოხაძე, ბ. ჯარიაშვილი, ა. ჭელიძე, ა. ქემოკლიძე, ბ. პოპოვი, გ. გველესიანი, რ. ურუშაძე, გ. ჯანიაშვილი, ო. ლაზიშვილი, ნ. მახარაძე, ა. კიკნაძე იუწყებიან **ვაჟა ბაქრაძის** გარდაცვალებას.

ცეკავშირის კვების კომბინატის თანამშრომლები იუწყებიან **ვაჟა ნიკოლოზის-ძე ბაქრაძის** გარდაცვალებას.

ვალია და ეგნატე ფიფია, მერი, ანდრო ღვამიჩავები თანაგრძნობას უცხადებენ თამარ ჭაბუკიანს მისი ძმისწულის **ბელა ბორისის ასულ ჭაბუკიანის** გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 8-IX, 7 ს. გამოსვენება 9-IX, 6 ს. კრილოვის, 13.

ლადო ნანუკაშვილი ოჯახით იუწყება **ვაჟა ბაქრაძის** გარდაცვალებას.

ანა ჭაბუკიანი შვილებით თამარით და შალვათი იუწყებიან **ბელა ჭაბუკიანის** გარდაცვალებას. გამოსვენება 9-IX, 6 ს. კრილოვის, 13.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისა და გამომცემლობის მუშაკთა კოლექტივი მწუხარებით იუწყება ლიტერატურული მუშაკის **ალექსანდრა ჭყონიას** გარდაცვალებას.

მშობლები ნადია, ივანე, ძმა ვასილ გარსევანიშვილები, ანდრო სულაბერიძე, მიხეილ ბარამიძე, ნესტორ ვეკუა, შოთა კვასხვაძე ოჯახებით იუწყებიან **თინა ივანეს ასულ გარსევანიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-IX, 5 ს. მცხეთაში.

მშობლები ტერეზა და დიმიტრი ჯაფარიძეები იუწყებიან **ვენერას** გარდაცვალებას დაკრძალვა 11-IX ზუგდიდში.

მამიდა სოფიო, მამიდაშვილები: რაჟდენ, ძაგული, ვანო, მამია, სონია, ანიკო, ნინო, ვალია, მანია, აგრაფინა, ტუტუ და ნინო ზოდელავები იუწყებიან **ვენერა დიმიტრის ასულ ჯაფარიძის** გარდაცვალებას.

მშობლები მარიამ და სპარტაკ, და ციალა, ოლღა, ნინო, კაკო ხელაიები, ნინო, ელენე, სერგო მღებროვები, თამარ და ბაგრატ შავდიები იუწყებიან პატარა **დათუ ხელაიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8-IX, 8 ს. გამოსვენება 9-IX, 5 ს. გერცენის შესახვევი, 13.

რ. იორდანიშვილი, ჭ. ჭიპაშვილი, ც. მუნჯიშვილი, გ. კაკაბაძე, ნ. ჭელიძე, გ. ნიშნიანიძე, ლ. კიკნაძე, ლ. ღვინიევი, ო. მგელაძე, ო. მანიძე, ო. ლომთათიძე, ა. ლომთაძე, გ. ცობაძე, ქ. ალექსიძე; ო. ღირსიაშვილი, დ. ხუციძე იუწყებიან **ვაჟა და ეთერ ბაქრაძეების** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის —3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებანი: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3 81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3 80 84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილებისა—3-78-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81 65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3 77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის № 28.

ტირაჟი 110.000

უე 13556